

COVID-19 "ღ"

«^{d'}oe

Ἔ

«[~]Ž

"Š

•"•[~]

Š[•]oe

ŠTMŠŽ[•]

oeTM

Š[•]

"

oe

COVID-19 საერთაშორისო ეკონომიკური უზენდუნებები და მოსაზრებები საქართველოს ეკონომიკის პოსტკრიზისული პენსივულობის შესახებ

დაბა რომიძე

შინაარსი

რეზიუმე.....	3
შესავალი.....	4
COVID-19-ის შემდგომი საერთაშორისო ეკონომიკური კონტექსტი.....	9
COVID-19-ის კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკის ძირითად კომპონენტებზე.....	13
საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მოკლე შეფასება	22
დასკვნა.....	30
გამოყენებული ინფორმაცია და წყაროები.....	32



ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და იგი არ ასახავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.

ამ მასალაში მოკლედაა მიმოხილული COVID-19-ის კრიზისით გამოწვეული ძირითადი საერთაშორისო ეკონომიკური ტენდენციები, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოსათვის და გავლენას ახდენს/მოახდენს მის ეკონომიკურ განვითარებაზე როგორც 2021, ისე უახლოეს წლებში.

COVID-19-ის კრიზისმა მოიცვა მთელი პლანეტა, ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფერო, იგი კვლავაც ვითარდება და ეკონომიკაზე მისი ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასება შემჭიდროებულ ვადებში ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამართლებრივ, საგანმანათლებლო თუ სხვა სფეროებზე მეტად რთულია. ამიტომაც, ანგარიშის მიზანი არაა დეტალურად გაანგარიშებული რაოდენობრივი შეფასებებისა და პროგნოზების წარმოდგენა.

ანგარიშში შეფასებულია 2020 წლის განმავლობაში უკვე აშკარა ეკონომიკური დანაკარგები და მოსალოდნელი საფრთხეები საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით. **გაანალიზებულია საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები მიზანშეწონილობის, საფრთხესთან შესაბამისობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.**

აშკარაა, რომ კრიზისის სიღრმე და სიმწვავე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 2020 წლის ბაფხულში გამოთქმულ მოლოდინს ბევრად სჭარბობს და ოპტიმისტური განწყობის საბაბს არ იძლევა. ეს მასალა არ ემსახურება პესიმისტური განწყობების გაძლიერებას, არამედ **მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსალოდნელ საფრთხეებსა და სირთულეებზე რეალისტური წარმოდგენის შექმნას.** ეს აუცილებელია, თუ საქართველოს მთავრობასა და საზოგადოებას კრიზისიდან მოკლე ვადებში გამოსვლის დაწყება სურთ. დასკვნის სახით გამოთქმულია მოსაზრება, თუ რა უნდა გაკეთდეს უკვე მიღებული ეკონომიკური ზარალის შესარბილებლად და მოსალოდნელი დანაკარგების შესაძლებლობის ფარგლებში შემცირებისათვის.

სტატიაში „კოვიდ-19-ის ეპიდემია, არის თუ არა რეაქცია საფრთხის შესაბამისი?“ რამდენიმე თვის წინ ვწერდით, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობის რეაქცია COVID-19-ის ეპიდემიაზე იყო გადაჭარბებული და გაუაზრებელი, ხოლო მათი მთავრობების მიერ გატარებული პოლიტიკა ვერც მოსახლეობას დაიცავდა და შექმნიდა სერიოზულ ეკონომიკურ, სოციალურ, ჯანდაცვით და სხვა პრობლემებს, რაც უკვე მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში გაცხადდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა. უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ „ლოქდაუნის“ (ეს პოლიტიკა სხვა სახელით ახლაც გრძელდება ქვეყნების უმეტესობაში) პოლიტიკამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს და ბევრად გაამწვავა ისედაც რთული ვითარება. სამაგიეროდ, უკვე იკვთება გაჭიანურებული გლობალური ეკონომიკური რეცესიის, და შესაძლოა მასშტაბური კრიზისის კონტურები. ამავე დროს, „ლოქდაუნის“ პოლიტიკამ აქამდე არნახული მასშტაბით შეზღუდა ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის ეკონომიკური თავისუფლებები, რასაც აუცილებლად მოჰყვება გაუთვლელი პოლიტიკური და სოციალური პრობლემები.


ჩვენი აზრით, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რეაქციაში აშკარად ჩანს პოლიტიკოსების მიერ რთულ სიტუაციაში გადამჭრელი მოქმედებისთვის მზადყოფნის დემონსტრირების სურვილი საზოგადოების პანიკური განწყობების ფონზე. მეორეს მხრივ, ასეთი თავდაპირველი რეაქციის შემდეგ, ბევრად უფრო რთულია სტრატეგიის შეცვლა და ამის ახსნა მოსახლეობისათვის. შედეგად, იქმნება ერთგვარი მოჭადოებული წრე, ქვეყნები ხელახლა აცხადებენ „ლოქდაუნებს“, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ამგვარმა პოლიტიკამ ადამიანთა სიცოცხლე გადაარჩინა. სულ ახლახანს ორგანიზაცია WalletHub-მა გამოაქვეყნა კვლევა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გატარებული ღონისძიებები სიმკაცრის მიხედვით შეპირისპირებულია COVID-19-ით გარდაცვალებათა რიცხვთან მილიონ კაცზე გადაანგარიშებით (*სურათი #1*).

შემოღებული შეზღუდვების სიმკაცრესა და გარდაცვალებათა რიცხვს შორის არა თუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, კორელაციაც კი არ არსებობს (კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს 0.0003). დღეს უკვე ძალზე ადვილია სხვადასხვა ქვეყნის ერთმანეთთან შეპირისპირება და ცალკეული ქვეყნების ვითარების სიღრმისეული გაანალიზება, სადაც ჩანს, რომ **შეზღუდვების ამა თუ იმ რეჟიმის უცვლელად მოქმედების მთელი დროის განმავლობაში, ოფიციალური სტატისტიკით, ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი ჯერ იმატებს, შემდეგ იკლებს, შემდეგ კი ისევ იმატებს.**

მსოფლიოში უკვე საკმარისად დიდი მონაცემებია დაგროვილი და ხელმისაწვდომი, რათა ითქვას, რომ ეს დაავადება ლეტალობითა და მასშტაბით გრიპის მწვავე ეპიდემიების მსგავსია. ფაქტია, რომ თვით მრავალგზის გაკრიტიკებულ შვედეთში 2020 წელს ყველა მიზეზით გარდაცვალებათა მაჩვენებელი 2019 წლის მაჩვენებელზე მაღალი იქნება, მაგრამ მაინც არ აღმოჩნდება არსებითად მაღალი 1990-2019 წლების პერიოდისაზე. სხვათა შორის, შვედეთის პოლიტიკის მთავარი ნაკლოვანება იყო ის, რომ ამ ქვეყანაში მოხუცთა თავშესაფრების დაცვა ვერ მოხერხდა და არა ის, რომ აქ მკაცრი „ლოქდაუნი“ არ შემოულიათ. „ლოქდაუნის“ ბენეფიციარები მოხუცთა თავშესაფრები ნამდვილად ვერ იქნებოდნენ. მათი დაცვა ეკონომიკის ჩაკეტვის გარეშე სავსებით შეიძლებოდა. იგივე ეხება ევროპის ბევრ სხვა ქვეყანას. გასათვალისწინებელია, რომ შვედეთის ჯანდაცვის სისტემის მესვეურები ღიად აღიარებენ დაშვებულ შეცდომას და აცხადებენ, რომ მოქალაქეთა მაღალი რისკ-ჯგუფების დასაცავად მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები სანიმუშო ნამდვილად არ იყო.

სურათი #1. COVID-19-ით გარდაცვლილთა რიცხვის შეპირისპირება შეზღუდვების დონესთან

COVID-19-ით გარდაცვალებათა რიცხვი მილიონ კაცზე გადაანგარიშებით აშშ-ს 50 შტატსა და კოლუმბიის ოლქში შემოღებული შეზღუდვების დონესთან შედარებით




დაზარალებულ განვითარებად ქვეყნებში გარდაცვალებათა მაღალი მაჩვენებლები სიტუაციის არაადეკვატურმა შეფასებამ, მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ, ზოგადი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სისტემების არაადაპტაციურობამ დონემ განაპირობა. ამ ფაქტორების აღმოფხვრა რომ „ლოქდაუნების“ მეშვეობით შეუძლებელია, უკვე უხვად დაგროვილმა მონაცემებმა და კვლევებმა აჩვენა.

გონივრული შეზღუდვების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ „ლოქდაუნები“ ჩვენში ბოლო დროს „ნერტილოვან შეზღუდვებად“ წოდებული, საქმეს ვერანაირად ვერ შველის. პირიქით, აზარალებს კიდევ მოსახლეობის იმ ნაწილის ჯანმრთელობას, რომელსაც კორონავირუსი ნაკლებად ეხება (ახალგაზრდობა, ჯანმრთელი პირები, სხვა). თუ „ლოქდაუნების“ მიზანი ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენაა, ჯერ ეს „ლოქდაუნის“ შემომღებმა ვერც ერთმა ქვეყანამ დაადასტურა. ბოლოსდაბოლოს, რამდენადაა შესაძლებელი მომავალში მთელი ქვეყნების ჩაკეტვა თუ უცნობი ვირუსი გამოჩნდება? დღევანდელი სამედიცინო სისტემები და ცოდნა საკმარისად კარგად იძლევა გადამდებ დაავადებებთან გამკლავების საშუალებას. სულ ახლო წარსულში, 1958 და 1968 წლების პანდემიების შემდეგ, ცხოვრება სწრაფადვე დაუბრუნდა ნორმალურ კალაპოტს და სრულიად გაუგებარ „ახალ ნორმალურობაზე“ ლაპარაკი არ ყოფილა.

საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა გაზეთ Financial Times-ში გამოქვეყნებული ინფორმაციის შედარება საქართველოში 2020 წლის 26 დეკემბრისათვის არსებულ ვითარებასთან კოვიდინფიცირებულთა ჰოსპიტალიზაციის კუთხით. **სურათი #2** ქვემოთ აჩვენებს, ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლებს ეპიდემიის გავრცელების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ ქვეყნებში.

სურათი #2. COVID-19-ით ინფიცირებულთა ჰოსპიტალიზაციის მანვენებლები შერჩეულ ქვეყნებში ეპიდემიის გავრცელების სხვადასხვა ეტაპზე ყოველ 100 ათას კაცზე გადაანგარიშებით



საქართველოში, ვებგვერდ <https://stopcov.ge/>-დან მოპოვებული ინფორმაცია ჰოსპიტალიზაციის მანვენებლების შესახებ ყოველ 100 ათას კაცზე გადაანგარიშებით მოცემულია **ცხრილში #1** ქვემოთ.

ცხრილი #1. COVID-19-ის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულთა რიცხვი საქართველოში

	26.12.2020	100 000 კაცზე გადაანგარიშებით
სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ	5677	152.73
კლინიკურ სასტუმროში მყოფი პირები	1393	37.48
სულ	7070	190.21

წყარო: <https://stopcov.ge/>

ამ ინფორმაციიდან ირკვევა, რომ საქართველოში, სადაც ოფიციალური ინფორმაციით, 26 დეკემბრისათვის ინფექციის გავრცელების პიკი უკვე გადავლილია, მხოლოდ სტაციონარებში პიკურ სტადიაზე მყოფ პორტუგალიაზე დაახლოებით 5-ჯერ, იტალიასა და უნგრეთზე დაახლოებით 2.5-ჯერ, ავსტრიაზე დაახლოებით 3.5-ჯერ, ხოლო ფინეთზე დაახლოებით 10-ჯერ მეტი პაციენტია მოთავსებული. გაუგებარია, როგორღა „გააბრტყელა“ ინფექციის გავრცელების მრუდი მთავრობამ, როცა ამდენი ინფიცირებულია მოთავსებული სტაციონარებში. გაზაფხულზე „ლოქდაუნის“ ამოცანა ის იყო, რომ სუსტი სამედიცინო სისტემა რაიმენაირად გადატვირთვისგან დაეცვა, ახლა კი ისე გამოდის, რომ საქართველოში ევროპის წამყვან ქვეყნებზე მეტი საწოლის მობილიზაციაა შესაძლებელი?


ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია საზოგადოების პანიკურ განწყობასა და სოლიდარობის ნაკლებობაზეც მეტყველებს. „ლოქდაუნის“ პოლიტიკა იმთავითვე უალტერნატივოდ განიხილებოდა, ხოლო მისი ოპონენტების პოზიცია კატეგორიულად მიუღებლად,

არამეცნიერულად, არაჰუმანურად და სხვა. ამან, ფაქტობრივად, ემოციური განწყობილებები უმნიშვნელოვანესი ჯანდაცვითი, პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების საფუძვლად აქცია. საჭიროა ახლა მაინც შეიქმნას პლატფორმა, სადაც ალტერნატიული აზრების შეჭერებისა და ვითარების სხვადასხვა ასპექტის გაშუქების შესაძლებლობა შეიქმნება.

მიუხედავად გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობის მამტკიცებელი საბუთების არარსებობისა, რიგი ქვეყნები ჯიუტად აგრძელებენ გაზაფხულზე შემოღებულ ზომებს. ამას ემატება დაზარალებული ეკონომიკური აგენტების საკომპენსაციო და ეგრეთ წოდებული მასტიმულირებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლების განხორციელებასაც საქართველოც დაჩქარებული ტემპით შეუდგა. აქ საგულისხმოა ის, რომ ეს ღონისძიებებიც მიღებულ იქნა ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში, სათანადო საპარლამენტო და საზოგადოებრივი განხილვების გარეშე, არ არის კარგად გააზრებული და აშკარად აკლია შეწყვეტის გააზრებული გეგმა და აღმძრავები.

საერთაშორისო კონტექსტის უკეთ გასაცნობად, დიაგრამა #1-ში ნაჩვენებია 2020 წლის 18 ნოემბრისათვის მსოფლიოს ცალკეული დიდი ეკონომიკების მიერ გატარებული ფისკალური ღონისძიებების სიდიდე 2019 წლის მშპ-სთან მიმართებაში, კვლევითი ორგანიზაცია Bruegel-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა #1. COVID-19-ის საპასუხოდ შემოღებული დისკრეციული ფისკალური ზომები, როგორც 2019 წლის მშპ-ს წილი (%), 2020 წლის 18 ნოემბრისათვის



წყარო: <https://www.bruegel.org/publications/datasets/covid-national-dataset>

დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში თავდაპირველად აქცენტი გაკეთდა პირდაპირ საბიუჯეტო დახმარებაზე სამუშაოდაკარგულთათვის, ეკონომიკის სტიმულირებისა და ვირუსთან ბრძოლისათვის (მყისიერი ფისკალური სტიმული). დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ამას დაემატა სხვადასხვა ტიპის გარანტიები, დაზღვევის სქემები და სხვა. საბოლოო ჯამში, ნაღდი ფულის სახით, აშშ-მ ეკონომიკაში მშპ-ს 9% მიმართა, იტალიამ მშპ-ს 13%-ის გადასახადები გადაავადა, ხოლო გარანტიებისა და დაზღვევის სახით მანვე მშპ-ს 32% გასცა. დიდ ქვეყნებს არც მცირე ზომის ეკონომიკები ჩამორჩნენ და გაიმეორეს როგორც საკუთრივ კორონავირუსის საწინააღმდეგოდ მიღებული ღონისძიებები, ასევე ეკონომიკური გადაწყვეტილებებიც. ცხადია, საქართველოც ჩაერთო იმავე ტრენდში და გაატარა მსგავსი ღონისძიებები რამდენიმე მიმართულებით.

ის, რომ ზემოთაღნიშნული ზომები ეკონომიკის აღდგენისათვის აუცილებელი ან საკმარისია მეტად საეჭვოა. ამ ღონისძიებების ნეგატიური ასპექტების ნეიტრალიზაცია მოხერხდება მაშინ

და მხოლოდ მაშინ, თუ 2021 წლის დასაწყისიდანვე მსოფლიო ეკონომიკა დაუბრუნდება ზრდის ტრაექტორიას და სწრაფად დაიწყებს აღდგენას. სამწუხაროდ, ამის ნიშნები არ ჩანს. შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ COVID-19-ის საპასუხოდ ფისკალური ღონისძიებების გაუტარებლობა პოლიტიკურად შეუძლებელი იყო. შესაძლოა ეს ასეცაა, მაგრამ ეს ვერაფერს სძენს ვერც ამ ღონისძიებების მართებულობას, ისე ეფექტიანობასა და დროულობას. თუ წამყვან ეკონომიკებს ჯერ კიდევ აქვთ მანევრირების გარკვეული საშუალება და შეუძლიათ სოლიდური საკომპენსაციო ზომების განხორციელება მათ ხელთ ჯერ კიდევ არსებული რესურსების წყალობით, მცირე ზომის განვითარებადი ქვეყნებისათვის, ეს მანევრირების რესურსი შეზღუდულია, რადგან საკომპენსაციო ზომები დაკარგული შემოსავლების მცირეოდენ ნაწილს თუ შეადგენს. მათ, საქართველოს ჩათვლით, უახლოეს მომავალში მოუწევთ საკმაოდ მაღალი ფასის გადახდა შემცირებული ეკონომიკური ზრდის ტემპის, ცხოვრების დონის, ჯანდაცვისა და განათლების ხარისხის გაუარესების, ვალუტის შესაძლო გაუფასურებისა თუ გაზრდილი უმუშევრობის სახით.


COVID-19-ის გეგმობი საერთაშორისო ეკონომიკური ჯონშექსში

საქართველოს, როგორც მცირე ზომის, ღია ტიპის ეკონომიკის დინამიკა ძლიერადაა დამოკიდებული საერთაშორისო კონიუნქტურაზე. ეს დამოკიდებულება სულ უფრო იზრდება გლობალურ ეკონომიკაში ჩართულობის გაღრმავების კვალდაკვალ, განსაკუთრებით, ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფინანსური ნაკადების არხებით. მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი ტენდენციების გააზრება მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების პერსპექტივების შესაფასებლად. ეს ეხება სიტუაციას როგორც უშუალოდ COVID-19-ის ეპიდემიამდე, ასევე მისი მიმდინარეობისას. ეს ასევე გარკვეულ წარმოდგენას შექმნის იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს მოგვიანებით.

უნდა ითქვას, რომ COVID-19-ის კრიზისი თვისებრივად განსხვავებულია „დიდ რეცესიად“ წოდებული 2007-09 წლების გლობალური საფინანსო კრიზისისაგან. ეს უკანასკნელი ენდოგენური, ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული კრიზისი იყო, რომელსაც, მთელი სიმწვავისა და მასშტაბის მიუხედავად, მაინც არ მოუცავს მთელი მსოფლიო. მიუხედავად ამისა, მაშინ წინაპრიზისულ დონემდე ეკონომიკების აღდგენას 4-5 წელი დასჭირდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეკონომისტების ნაწილი მიიჩნევს, „დიდი რეცესიის“ შედეგები სრულად დღემდე არაა ლიკვიდირებული.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „დიდი რეცესიის“ შემდეგ განვითარებადი ქვეყნების იმედისმომცემი გამოცოცხლება საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა და მათი ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე დაბალი იყო. შენედა მსოფლიო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპი. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, 2010-2019 წლებში მეტად გაიზარდა კერძო სექტორისა და სახელმწიფოს ვალის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მაჩვენებლები. ამ საკითხების გააზრებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მთავრობის მოქმედებათა შესაფასებლად მიზანშეწონილობისა და ადეკვატურობის თვალსაზრისით, ასევე იმისათვის, თუ რა არის რეალისტურად მოსალოდნელი 2021 წლიდან.

დიაგრამა #2. ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების გლობალური დინამიკა 2015-2019



წყარო: UNCTAD, WB

დიაგრამა #2 აჩვენებს, რომ ოთხი უმთავრესი პარამეტრის მიხედვით მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა COVID-19-ის ჯერ კიდევ კრიზისის დადგომამდე არ იყო სახარბიელო. 2015 წელს აღინიშნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა, რაც 2008-2014 წლების ნაკლებად შთაბეჭდავი შედეგების გათვალისწინებით, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით, ინვესტიციების ეს ზრდა ზედიზედ სამი წლის განმავლობაში დაფიქსირებულმა კლებამ (დივესტიცია) სწრაფად გააქარწყლა. სუსტი იყო გლობალური ეკონომიკური ზრდაც, რომელმაც მხოლოდ 2016 წელს გადააჭარბა 3%-ს, ხუთწლიანი პერიოდის ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი საკმაოდ არადამაჭერებელ 2%-იან მაჩვენებელთან ახლოს ფიქსირდებოდა. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ინფორმაციით, 2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მსოფლიოში წინა წელთან შედარებით 40%-ით მოიკლებს.

2015-2019 წლების პერიოდი გამოირჩევა საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ზრდის ტემპების შემცირებითაც. უფრო მეტიც, საქონლით მსოფლიო ვაჭრობის აბსოლუტური მოცულობა 2015, 2016 და 2019 წლებში შემცირდა კიდევ. ეს საკმაოდ ნეგატიური ტენდენციაა თუ გავიხსენებთ 2000-იანი წლების სწრაფ აღმავლობას საერთაშორისო ვაჭრობაში, ვაჭრობის რეჟიმების ლიბერალიზაციის რამდენიმე ტალღას და სხვა. UNCTAD-ის ინფორმაციით, გლობალური ვაჭრობის მოცულობა 2020 წელს დაახლოებით 9%-ით შეიკვეცება, ხოლო შემდგომ წლებში COVID-19-მდე არსებული ტრანექტორიის ქვემოთ დარჩება.

საქართველოსთვის რელევანტურია ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკისათვის COVID-19-ის კრიზისის წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი გახდა როგორც საჭარო სექტორის, ასევე კერძო სექტორის ვალების მკვეთრი ზრდა. ეს ზრდა გამოკვეთილია განვითარებად ქვეყნებშიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბიულეტენში¹, გამოთქმულია მოსაზრება, რომ განვითარებად ქვეყნებში ვალის სწრაფი დაგროვება მიმდინარეობს ფისკალური, მიმდინარე ანგარიშის, საბანკო სექტორისა და სხვა სტრუქტურული პრობლემების გამწვავების ფონზე. ავტორების აზრით, ეჭვს არ იწვევს ის, რომ COVID-19 მხოლოდ დაამძიმებს ამ პრობლემას.

მდიდარ ქვეყნებს, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის განგანსხვავებით, ჰქონდათ საშუალება კრიზისის ბიუჯეტში სოციალური დახმარების, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მიუწოდების მკვეთრი ზრდითა და სხვა ზომებით გამოპასუხებოდნენ, თუმცა ამ, ისედაც სათუო პოლიტიკის, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი შედეგები მეტად რთული განსაჭვრეტია. სახელმწიფოს ამ პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა საოჯახო მეურნეობებსა და კორპორატიულ სექტორსაც მოკლევადიან პერიოდში მკვეთრად გაეზარდა ვალი და შეერბილებინა ნეგატიური შოკი. მაგრამ აქ საკითხავი ისაა, თუ რამდენად შეძლებს არასახელმწიფო სექტორი ვალის სწრაფად ტვირთის შემცირებას, როცა კრიზისი გადაივლის.

ისევე როგორც „დიდი რეცესიის“ შემდეგ, მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა COVID-19-ის კრიზისის დროსაც გამოიყენეს ეგრეთ წოდებული სტიმულირების პოლიტიკა, რომელიც, ჩვენი აზრით, ზოგადად გაუმართლებელია ბევრი მიმართებით. **კორონავირუსის პრობლემის დასაძლევად ნაჩქარევად შემუშავებული ფისკალური პოლიტიკა, შეზავებული სხვადასხვა ტიპის საკომპენსაციო ზომებით ბიზნესისა და საოჯახო მეურნეობისათვის, არადამაჭერებელია და გართულებული გლობალური კონიუნქტურის ფონზე ეკონომიკურად საკმაოდ ფეთქებადსაშიშ სიტუაციას ქმნის.** ამ პოლიტიკამ ხელისუფლებებს ამომრჩევლებისათვის „სიტუაციაზე კონტროლის,“ „გადამჭრელი მოქმედებით მოსახლეობის დაცვის“ დემონსტრირების საშუალება მისცა. ჩემი აზრით, სტიმულირების პაკეტების ამოწურვის შემდეგ მოსახლეობა სწრაფადვე აღმოაჩენს, რომ ვერც სიტუაცია კონტროლდება სათანადოდ და კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური დანაკარგებიც დიდია. ვფიქრობ, ბოლო დროს ასეთი ინსტრუმენტის ასე ხშირად და ასე დიდი მასშტაბით გამოყენება უკვე მოკლევადიან პერიოდში შექმნის სერიოზულ გაუთვალისწინებელ სირთულებს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში „ლოქდაუნის“ შემოღებიდან დღემდე მოქმედებს საშვებულებო სქემა, რომელიც დროებით სამსახურდაკარგულ მუშაკებს ხელფასის 80%-ს უნაზღაურებს. მთავრობას ამ სქემის დასრულების თარიღი ჯერაც არ დაუანონსებია, არადა მისი შეწყვეტა გარდაუვალია. **ასეთი სქემების გაგრძელება, რაციონალური ეკონომიკური მიზნებით გამართლებულიც რომ იყოს, იმდენად დიდ ტვირთს უქმნის ბიუჯეტს, რომ მათი წყვეტა ეკონომიკის შემდგომი სწრაფი აღდგენის გარეშე, შესაძლოა მწვავე პოლიტიკური და სოციალური კრიზისის მიზეზი გახდეს.**

¹ Finance and Development გამოქვეყნებულ სტატიაში Caught by a Cresting Debt Wave (M. Ayhan Kose, Franziska Ohnsorge, Peter Nagle, and Naotaka Sugawara, Finance & Development, June 2020, Vol. 57, # 2)

ცხრილი #2. ვალის ფარდობა მშპ-სთან ქვეყნების ძირითადი ჯგუფებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით

ვალის ფარდობა მშპ-სთან	ოქტომბერი (Q3 '19)	ოქტომბერი (Q3 '20)	ბიზნეს სექტორი (Q3 '19)	ბიზნეს სექტორი (Q3 '20)	მთავრობა (Q3 '19)	მთავრობა (Q3 '20)	სულ (Q3 '19)	სულ (Q3 '20)
განვითარებული ქვეყნები საშუალოდ	72.00%	78.00%	91.00%	102.00%	110.00%	131.00%	273.00%	311.00%
აშშ	74.00%	81.00%	75.00%	88.00%	102.00%	127.00%	251.00%	296.00%
ევრო ზონა	58.00%	61.00%	108.00%	114.00%	102.00%	115.00%	268.00%	290.00%
გაერთიანებული სამეფო	84.00%	88.00%	73.00%	78.00%	110.00%	130.00%	267.00%	296.00%
განვითარებადი ქვეყნები საშუალოდ	40.00%	44.00%	93.00%	104.00%	53.00%	60.00%	186.00%	208.00%
ჩინეთი	54.00%	60.00%	150.00%	166.00%	53.00%	63.00%	257.00%	289.00%
რუსეთი	19.00%	23.00%	78.00%	91.00%	15.00%	18.00%	112.00%	132.00%
მსოფლიო საშუალოდ	60.00%	65.00%	92.00%	103.00%	89.00%	105.00%	241.00%	273.00%

წყარო: International Financial Institution, Deutsche Bank, BIS; Q – კვარტალი

ცხრილი #2 ასახავს ვალის მკვეთრი ზრდის ტენდენციას 2020 წლის განმავლობაში საოჯახო მეურნეობების, ბიზნესისა და მთავრობისათვის (იგულისხმება როგორც შიდა, ისე საგარეო ვალი). ის, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ნეგატიური ტენდენციის სწრაფად დაძლევა სხვა პირობების თანაბრობისას, თავისთავად, სადაო საკითხია. თუმცა, საქმე იმაშია, რომ ვალების დაგროვება 2020 წლის განმავლობაში და ადრეც მეტწილად მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების დისკრეტული პოლიტიკის შედეგია, მაშინ როცა ვალის სიდიდის ნორმალიზაცია დამოკიდებული იქნება ხელსაყრელი ეგზოგენური ფაქტორების თანხვედრაზე, რაზეც პირდაპირ ვერც ცალკეული მთავრობები, ვერც ბიზნესები და ვერც საოჯახო მეურნეობები ახდენენ გავლენას.

დიდი ალბათობით, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში გლობალური მშპ-ს ზრდის ტემპი COVID-19-ის კრიზისამდელ ტემპზე დაბალი იქნება. ამის მიზეზი ისაა, რომ ჯერაც უცნობია, როდის დასრულდება დიდ ეკონომიკებში არსებული შეზღუდვების პოლიტიკა, რა მასშტაბით აღდგება საერთაშორისო მიმოსვლა და სხვა. გარდა ამისა, უცნობია, თუ რა ზეგავლენას იქონიებს გლობალურ ზრდაზე ის გარემოება, რომ შესაძლოა დამძიმდეს სოციალური და ეკონომიკური ფონი ნაკლებად სტაბილურ ნედლეულის მომწოდებელ ქვეყნებში, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში უთუოდ დადგება ჯანდაცვის ხარჯების ზრდის აუცილებლობა. ხშირად ითქმის, რომ COVID-19 ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველ ჯგუფებს აზარალებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოთა მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული ღონისძიებები, რაშიც შედის მცირე და საშუალო ბიზნესის დახურვა, გადაადგილების შეზღუდვა, განათლების სისტემის შეფერხება, ყველაზე მეტად აზარალებს მოსახლეობის საშუალო ფენას. ცხადია, ეს გარემოებები უარყოფით გავლენას იქონიებს ზრდაზე ბევრ ქვეყანაში და მსოფლიოშიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ამა წლის ივნისის პროგნოზით, 2020 წლის გლობალური ეკონომიკური ვარდნა ნავარაუდევზე დიდი აღმოჩნდა. ეს ორგანიზაცია გაისად მსოფლიო ეკონომიკის გამოცოცხლებას ორი შესაძლო სცენარით ვარაუდობს. პირველი მათგანია COVID-19-ის ხელახალი აფეთქება 2021 წელს, ხოლო მეორე – მოსალოდნელზე სწრაფი გამოცოცხლება. ამ ორივე სცენარს აკლია შესაბამისი გათვლები და დასაბუთება. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, შექმნილი უპრეცედენტო სიტუაციის გამო, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის, რომ სავალუტო ფონდი გლობალური ეკონომიკის აღდგენის უდიდეს რისკებს ქვეყნების ვალებისა და ფისკალური დეფიციტის მკვეთრ ზრდაში ხედავს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ გლობალური ზრდის არასახარბიელო სცენარი საქართველოს ეკონომიკის სწრაფი აღდგენის შესაძლებლობას ზღუდავს.

როგორც მინიმუმ, მსოფლიოში ვალის ზრდა საოჯახო მეურნეობების, კორპორატიულ და სახელმწიფო სექტორებში ხელს შეუშლის განვითარებად ქვეყნებს, საქართველოს ჩათვლით, მოზიდონ უცხოური საკრედიტო და საინვესტიციო რესურსები. ერთის მხრივ, თეორიაში ამან შესაძლოა დადებითი ფონი შექმნას საბიუჯეტო დისციპლინის თვალსაზრისით, ვინაიდან სახელმწიფოს გაცილებით უფრო მკაცრ გარემოში მოუწევს ოპერირება. ამასთანავე, ეს განვითარებად ქვეყნებს საბიუჯეტო დისციპლინის გამკაცრებას აიძულებს. მთავრობებმა უფრო გონივრულად უნდა დაგეგმონ საბიუჯეტო პროცესები, რაც შეამცირებს შემდგომში საგარეო ვალის უეცარი ზრდის (Debt overhang) ალბათობას, მაგრამ მათ ასევე უარი უნდა თქვან მრავალი მიმართულებით საჭირო საგარეო რესურსების მოზიდვაზე.

არსებული მსოფლიო კონიუნქტურა, ვალის თვალსაზრისით, საქმეს ურთულებს ბიზნესსაც და ბანკებსაც – შედარებით იაფი სასესხო რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით. მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი, კარმენ რაინჰარტი შურნალ The Economist-ის წლიურ გამოცემაში The World 2021, სტატიაში „მომავალი COVID-19-ის საკრედიტო კრიზისი“ (The coming credit crunch) ვარაუდობს, რომ 2021 წელს მწვავე გლობალური საკრედიტო კრიზისი დაიწყება, რომელიც მსოფლიოს რეგიონების უმეტესობას შეეხება. ასეთი ვითარება ზრდისათვის ხელსაყრელი არაა.


ამ მომენტების გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფისკალურ ექსპანსიონიზმს მიმართავს თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეკონომიკა და ქვეყნების ბლოკი. ასეთ პირობებში, მცირდება საშინაო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობა როგორც ზოგადად, ისე ამ სპეციფიკურ ვითარებაშიც.

COVID-19-ის ჩიზისის გავრცენა საქართველოს ეკონომიკის ძირითად ქოგონენებზე

ეკონომიკური ზრდა

COVID-19-ის მიმდინარეობისას წარმოქმნილი სირთულები უკვე საკმაოდ მძიმედ აისახა საქართველოს ეკონომიკაზე. ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტისათვის ივნისში წარდგენილი კანონპროექტის „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, წარმოდგენილი გათვლების მიხედვით, 2020 წელს იკლებს საქართველოს მშპ (დიაგრამა #3).

დიაგრამა #3. ნომინალური და რეალური მშპ-ს ზრდა და პროგნოზი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რეალური მშპ-ს ზრდის უარყოფითი ტემპი გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგან მთელ მსოფლიოშიც იგივე ვითარებაა შექმნილი. იმ დროისათვის, როცა პარლამენტში კანონპროექტი შედიოდა, ეკონომისტების უმეტესობა 2021 წლიდან მსოფლიოს ეკონომიკის აღმავლობას პროგნოზირებდა. ამჟამად უკვე სათუთა იქნება თუ არა ეს აღმავლობა 2021 წელს და რა ფორმას მიიღებს იგი. საუბარია V ტიპის აღდგენაზე, რაც ჩანს კიდევ საქართველოს მთავრობის პროგნოზში (აღსანიშნავია, რომ საქსტატის ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებით, 2020 წლის 11 თვის საშუალო მაჩვენებელი -5.9 პროცენტია, რაც უკვე არსებითად ნაკლებია საქართველოს მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელზე, რომელიც დიაგრამა #3-შია წარმოდგენილი). ამავე დროს, არაა გამორიცხული U ტიპის აღდგენა, რასაც მეტი დრო დასჭირდება. პესიმისტური სცენარის მიხედვით, შესაძლოა ეკონომიკის აღდგენის პროცესმა L-ის ფორმა მიიღოს, რაც მოკლევადიან პერიოდში გაჭიანურებულ სტაგნაციას ნიშნავს. ფინანსთა სამინისტროს პროგნოზი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან იყო შეთანხმებული.

ამ უკანასკნელის პროგნოზი, რომელიც მიმოხილულია ამ დოკუმენტის დასაწყისში, სავარაუდოდ, ზედმეტად ოპტიმისტურია, რადგანაც მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში ნეგატიური პროცესები ძლიერდება და ჯერაც დაუდგენელია ეკონომიკის გახსნის თარიღი.

საქართველოსთვის ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკა მეტადაა დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე, მათ შორის ტურიზმზე, რომელიც მშპ-ს მნიშვნელოვან (ფინანსთა სამინისტროს მიერ ივნისში პარლამენტისთვის წარდგენილ ბიუჯეტის ცვლილების პროექტში 2019 წელს ტურიზმის წილი მშპ-ში 18.4%-ით არის შეფასებული) ნაწილს იძლევა და მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის გაჭიანურების საკმაოდ მაღალი საფრთხე 2021 წლიდან მშპ-ს ზრდის აღდგენას სათუოს ხდის. თუ ნეგატიური სცენარი რეალურად დადგა, საქართველოს მთავრობა ვეღარ შეძლებს მასტიმულირებელი და საკომპენსაციო ზომების განხორციელებას ბიუჯეტის მეშვეობით, რაც დამატებით სოციალურ საფრთხეებს ქმნის. შესაძლოა დაბეჭითებით ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის აღდგენა, მისი ტემპი და ტრაექტორია ამჟამად მთლიანად საგარეო კონიუნქტურაზეა დამოკიდებული. საქართველოს მთავრობას ისედაც შეზღუდული რესურსები აქვს და მისი ამოცანა ეკონომიკის აღდგენის სათუო პერსპექტივების გათვალისწინებით ისაა, რომ მაქსიმალურად სწრაფად უზრუნველყოს ეკონომიკის გახსნა და თუნდაც 2021 წლის იანვრის შემდეგ აღარ მიმართოს სხვადასხვა სახელით მოწოდებულ, გაუმართლებელ „ლოქდაუნებს,“ რომლებსაც ბოლო დროს „წერტილოვანი შეზღუდვები“ დაერქვა. კიდევ დამატებითი შეზღუდვები ეკონომიკას შეუქცევადად დააზარალებს.

დასაქმება

დასაქმების სტრუქტურა 2019 წლისათვის, საქსტატის მონაცემებით, (დიაგრამა #4), კვლავაც არჩვენებს, რომ ეკონომიკის ზრდას 2000-იანი წლების დასაწყისიდან არ მოჰყოლია დასაქმების შესაბამისი ზრდა და ამ მიმართულებით ქვეყნის ეკონომიკას COVID-19-ის კრიზისამდე წარმატებისთვის ნამდვილად არ მიუღწევია.

დიაგრამა #4. დასაქმება დარგების მიხედვით, ათასი კაცი, 2019



წყარო: საქსტატი

საქსტატის მონაცემებით, 2007 წლიდან 2019 წლის ბოლომდე შემცირდა როგორც სამუშაო ძალის, ისე კერძო და სახელმწიფო სექტორებში დასაქმებულთა აბსოლუტური რიცხვი. სახელმწიფო სექტორის წილი მთლიან დასაქმებაში დაახლოებით 30%-ს შეადგენს. აქედან

გამომდინარე, სამუშაოს დაკარგვის პრობლემა შეეხო სამუშაო ძალის დაახლოებით 70%-ს. აქედან უმსხვილესი დამსაქმებელი, სოფლის მეურნეობა, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დაახლოებით 248 ათასი ადამიანის, – მომუშავეთა დაახლოებით 19%-ის შემოსავლის მთავარი წყაროა. ეს საკმაოდ სადავო დასკვნაა, მაგრამ ცხადია ის, რომ სოფლის მეურნეობა, რომელშიც არაფორმალური დასაქმება დომინირებს და ნაკლებად შეეხო მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვები, ჯერჯერობით სამუშაოს დაკარგვის თვალსაზრისით, ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. ამასთან სათქმელია, რომ ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევამ შესაძლოა დიდი ზეგავლენა მოახდინა სურსათის ფასებზე, ასევე აზარალა კვების ობიექტებისთვის მიმწოდებელი ფერმერები, თუმცა ამ ზარალის შეფასება ამჟამად მეტად რთულია. ნაკლებად დაზარალდა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების სექტორი, რადგან მას გააჩნია დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა და შემოსავლებიც სტაბილური აქვს. იგივე ეხება უძრავი ქონებით ოპერაციების, იჯარისა და მომხმარებელთა მომსახურების სექტორს. საფინანსო საქმიანობაც თითქმის ჩვეულებრივ აგრძელებს მუშაობას. იგივე ეხება ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური დახმარების სექტორს, სადაც შემოსავლები შესაძლოა გაიზარდა კიდევ. თავდაპირველი შეზღუდვების შემდეგ, წლის მეორე ნახევრიდან ფუნქციონირებს მშენებლობის სექტორი. განათლების სექტორში მუშაობის შეფერხებისა და ონლაინ რეჟიმზე გადასვლა შესაძლებელი გახდა დასაქმების დაკარგვის გარეშე. მეტ-ნაკლებად დიდი დარტყმა მიიღო მრეწველობის სექტორმა. ყველაზე მეტად დაზარალდა შემდეგი სამი სექტორი: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და განსაკუთრებით, სასტუმროები და რესტორნები.

ერთი შეხედვით რთულია სამუშაო და ხელფასდაკარგულთა რიცხვის ზუსტი შეფასება, რადგან ზემოთჩამოთვლილი სექტორები იყოფა ქვესექტორებად, რომლებსაც განსხვავებულად შეეხოთ შემოღებული შეზღუდვები. ამასთანავე, ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხეს ამ დარგებში დასაქმებულებმა ახალ რეალობასთან ადაპტირება საქმიანობის მოდიფიკაციის გზით. აქედან გამომდინარე, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ეტაპის მიხედვით ნავარაუდები 125 ათასი დასაქმებული, რომელმაც სამუშაო და ხელფასი დაკარგა, ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით, მეტ-ნაკლებად რეალისტური ჩანს. მთავრობის თავდაპირველი ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპის მიხედვითაც, იგივე სიდიდის დახმარება იყო გათვლილი, ასევე 6 თვეზე, თუმცა 350 000 მოქალაქეზე. 2020 წლის 4 დეკემბრისათვის იმ სქემით გამოყოფილი 460 მილიონი ლარიდან ათვისებული იყო მხოლოდ დაახლოებით 130 მილიონი ლარი, რაც ნიშნავს, რომ ბენეფიციართა რიცხვი დაახლოებით 160 ათასს შეადგენდა. საბოლოოდ, მეტად ძნელია იმის თქმა, თუ რეალურად რამდენი ადამიანი დაკარგავს სამუშაოს და რა ვადით, ალტერნატიული სამუშაოს მონახვის გარეშე. რეალისტური იქნება, თუ მათ რიცხვს დაახლოებით 150-200 ათასი კაცის ფარგლებში ვივარაუდებთ.


ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებში, საქსტატის მიხედვით, ხელფასის სიდიდე დაახლოებით 1100 ლარს შეადგენს თვეში. გამოდის, რომ დაახლოებით 150-200 ათასმა კაცმა წლის განმავლობაში (თუ მთავრობის საკომპენსაციო ზომების ლოგიკას მივყვებით) კომპენსაციის მიღების შემდეგ დაახლოებით 1.6-2.1 მილიარდი ლარის შემოსავლები დაკარგა. სიტუაცია განსაკუთრებით რთულია სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში, რომლებისთვისაც წელი თითქმის მთლიანად ჩავარდა.

ძალიან ძნელია თვითდასაქმებულ ბენეფიციართა რიცხოვნობის მთავრობისეული შეფასების რეალისტურობის განსაზღვრა.

საჯარო ფინანსები და მთავრობის ვალე

ცხადია, ახალმა ვითარებამ შეცვალა საჯარო ფინანსების მდგომარეობაც. ტურიზმის ჩავარდნამ ობიექტურად შეამცირა ამ სექტორიდან მისაღები საგადასახადო შემოსავლების მოცულობა. იგივე ეხება სხვა ცალკეულ სექტორებსაც. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ შემოღებულმა მკაცრმა შეზღუდვებმა შეაფერხა ან მთლიანად შეაჩერა მთელი რიგი ბიზნესების ფუნქციონირება.

დიაგრამა #5. უმთავრესი საბიუჯეტო პარამეტრები, როგორც მშპ-ს წილი, ფაქტი და პროგნოზი (2017-2024)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საბიუჯეტო სფეროს ორმაგი წნეხი შეექმნა. ერთის მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლები არსებითად შემცირდა (გადასახადების ყველა სახეობაში), მეორეს მხრივ, აუცილებელი გახდა ხარჯების ზრდა. შედეგად, ნეგატიური გახდა 2020 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო მთლიანი სალდო გახდა მკვეთრად ნეგატიური და, ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, ასეთივე დარჩება 2024 წლის ბოლომდე.

ხარჯების ზრდისა და შემოსავლების შემცირების კომბინაციამ გამოიწვია საქართველოს ორგანული კანონის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნის დარღვევა, რომლის თანახმადაც ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო გადასცდა მაქსიმალურ დაშვებულ ზღვარს (მშპ-ს 3%) და 8.3% შეადგინა. ამავ კანონის სხვა ნორმა მთავრობის ვალის მაქსიმალური ზღვრის შესახებ ჯერ არ დარღვეულა, თუმცა უკვე უახლოვდება აკრძალულ, მშპ-ს 60%-იან ნიშნულს.


მთავრობის პროგნოზით, ეკონომიკის ნორმალიზაცია 2021 წლიდან საბიუჯეტო დისბალანსის აღმოფხვრის საშუალებას შექმნის. ამავ დროს, ნომინალურად არასათანადო აქტივების ზრდის შენარჩუნება ამ პროცესს ხელს შეუწყობს. აღარ გაჩნდება დამატებითი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების აღების აუცილებლობა და ნომინალური შემოსავლების ზრდა, როგორც მშპ-ს წილისა, გამოიწვევს ამ პარამეტრის სტაბილიზაციას 2024 წლისათვის.

ისევე როგორც ეკონომიკის სხვა პარამეტრების შეფასებისას, აქაც უნდა გამოიყოს მთავრობის მიერ გაკეთებული დაშვება, რომ ეკონომიკა 2021 წელს აღდგება, რაც თავის მხრივ, მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის შედეგი იქნება. მიმართა, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან ეს მეტად ოპტიმისტური ვარაუდია. სავარაუდოდ, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტურისტული ინდუსტრია 2021 წელს ვერ აღდგება ევროპასა და საქართველოს უშუალო სამეზობლოში არსებული ვითარების გათვალისწინებით. ამასთანავე, მომავალში მთავრობას აღარ ექნება შემოსავლების მკვეთრად გაზრდის შესაძლებლობა ახალი ვალების მოზიდვისა თუ საპრივატიზაციო შემოსავლების გენერირების გზით. საპრივატიზაციო რესურსი მეტად შეზღუდულია და 2021 წლიდან 2024 წლის ჩათვლით წლიურად მხოლოდ 250 მილიონი ლარის დონეზეა გათვლილი.

ეკონომიკის აღდგენის შემთხვევაშიც კი ეჭვს არ იწვევს, რომ პოსტკრიზისულ პერიოდში

საქართველოს ეკონომიკას მოუწევს უწინდელზე მინიმუმ 20%-ით მაღალი საჯარო სექტორის ვალის პირობებში არსებობა. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტის დისციპლინის უზრუნველყოფა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა ხდება მაგრამ საკითხავია, იარსებებს თუ არა შესაბამისი პოლიტიკური ნება და შედეგება თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის კონსენსუსი, როცა გარდაუვლად დადგება ბიუჯეტის ოპტიმიზაციის საჭიროება?


დიაგრამა #6. მთავრობის ვალის კომპონენტები, როგორც მშპ-ს წილი, ფაქტი და პროგნოზი (2017-2024)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგარეო ვალის მარჯვენებლები მაღალი იქნება ექსპორტთან მიმართებაშიც (იხ. დიაგრამა #7). ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს საექსპორტო პოტენციალი ჯერაჯ ვერ გაიზარდა სასურველი ტემპით. აშკარად მოიკოჭლებს საქართველოს ექსპორტი როგორც საქონლის ხარისხის, ასევე მისი ასორტიმენტის თვალსაზრისითაც. ამის გამო, საერთაშორისო კონიუნქტურის ნებისმიერი ნეგატიური ცვლილება მეტად სერიოზულ საფრთხეს ქმნის ქვეყნის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით.

დიაგრამა #7. ვალის პარამეტრების ფარდობა ექსპორტთან და საბიუჯეტო შემოსავლებთან, ფაქტი და პროგნოზი 2017-2024




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საპროგნოზო მონაცემებით, მთავრობის მთლიანი ვალისა და საგარეო ვალის სტაბილიზაცია საბიუჯეტო შემოსავლებთან მიმართებაში უნდა დაიწყოს 2021 წელს და მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი დაღმავალი ტენდენცია უნდა შეიძინოს მას შემდეგ. მაგრამ საკითხავია, შესაძლებელი იქნება თუ არა ეს გაუარესებული საგარეო კონიუნქტურის პირობებში?

2021 წელს საგარეო ვალის მომსახურება ბიუჯეტის დაახლოებით 22%-ს მოითხოვს. ეს თავისთავად უკვე მძიმე დატვირთვაა ქვეყნის ეკონომიკაზე. საგარეო ვალის მომსახურება ექსპორტის 10%-იან ნიშნულზე დაფიქსირდება (იხ. დიაგრამა #8). ეს ჯერ კიდევ არ არის საგანგაშო მაჩვენებელი, მაგრამ ქართული ექსპორტის დინამიკის ნაკლებობის გათვალისწინებით, შესაძლოა სერიოზულ პრობლემად იქცეს მომავალში, რადგანაც ქვეყანას ექსპორტის გზით მყარი ვალუტის გენერირების ზრდის დამაიმედებელი პერსპექტივა არ აქვს. 2020 წლის იანვარ-ნოემბრის წინასწარი მონაცემებით, ექსპორტი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 11.3 პროცენტით არის შემცირებული.

დიაგრამა #8. საგარეო ვალის მომსახურების ფარდობა ექსპორტთან და ბიუჯეტის შემოსავლებთან, ფაქტი და პროგნოზი (2017-2024)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


საქართველოდან საქონლის ნეტო-ექსპორტი ქრონიკულად უარყოფითი რჩება და მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს გაწონასწორების მექანიზმის როლში ბოლო დროს ექსპორტზე მეტად მომსახურებით მიღებული შემოსავლები და პირდაპირი ტრანსფერები გამოდიოდა.

ვალუტის კურსი და საგადასახდელ ბალანსი

მიმდინარე გლობალური ეკონომიკური სირთულეები უნდა ასახულიყო ლარის კურსზეც. 2020 წელს ეროვნულმა ბანკმა რამდენჯერმე მიმართა მსხვილსავალუტო ინტერვენციებს კურსის სტაბილიზაციისათვის. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლარის კურსი მანამდეც არ იყო სტაბილური. გასახსენებელია 2015 წლის გაუფასურების ეპიზოდი, რასაც დროებითი სტაბილიზაცია მოჰყვა, თუმცა ეს ტენდენცია კვლავ გაუფასურებით შეიცვალა. 2013 წლის იანვრიდან დღემდე ლარი დოლართან მიმართებაში ორჯერ გაუფასურდა. რაც შეეხება რეზერვებს, ეროვნული ბანკი მეტ-ნაკლებად საღად აფასებს სიტუაციას და ინარჩუნებს მათ, ვინაიდან რეზერვების მუდმივ ხარჯვას კურსის შესანარჩუნებლად აზრი ნამდვილად არ აქვს.

დიაგრამა #9 საკმაოდ კარგად აჩვენებს ამ სიტუაციას. 2016 წლის ბოლოდან დღემდე ეროვნული ბანკის მიერ რეზერვების დაგროვების ტემპი სჭარბობდა დოლართან და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურების ტემპს.

დიაგრამა #9. ევროსა და დოლართან მიმართებაში ლარის კურსის, ასევე საერთაშორისო რეზერვების ფარდობითი ცვლილება, 2016 წლის 31 დეკემბერი = 2020 წლის 1 იანვარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ამგვარად, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკი გონივრულად იქცევა, როცა ლარის მხარდასაჭერად რესურსებს ზოგავს, მაგრამ მეორე მხრივ, არაპირდაპირ გამოდის, რომ ლარის გაუფასურება დოლარსა და ევროსთან მიმართებაში რეზერვების დაგროვებას უწყობს ხელს. ასეთი პოლიტიკის იმპლიკაცია ისაა, რომ საქართველოს აქვს მცურავი სავალუტო კურსი, მაგრამ ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, სპეციფიკურ ვითარებაში ფიქსირებული კურსის სავალუტო რეჟიმის ინსტრუმენტებს მიმართავს, რის ზეგავლენა ეკონომიკურ ვრცელი საკითხია და სერიოზულ კვლევას მოითხოვს.

ფაქტობრივად, იკვეთება სიტუაცია, რომ ქართული ვალუტის შემდგომი გაუფასურება გარდაუვალია. ამის მიზეზი რამდენიმეა:

1. მსოფლიო ეკონომიკა 2021 წლიდან ისედაც შედის არასტაბილურ ფაზაში, რაზეც ვრცელდება ლაპარაკი ზევით. ამ არასტაბილურობის ერთი ასპექტი ჩანს **დიაგრამა #9**-შიც დოლარისა და ევროს მოძრაობის ტრაექტორიების განშლით 2020 წლის დასაწყისიდან.
2. მიმდინარე ანგარიშის ნეგატიური ბალანსის მშპ-სთან ფარდობა, როგორც ვალუტის კურსის განმსაზღვრელი ფაქტორი, ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, 2021-2024 წლებში რჩება იმ მაღალ დონეზე, რაც ძალიან დიდ წნეხს უქმნის ქართულ ლარს, მით უმეტეს ახალ, ტურბულენტურ გარემოში. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა პარლამენტში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, გიორგი გახარისას გაკეთებული განცხადებიდან ამონარიდი: „გლობალურმა პანდემიამ, ფაქტობრივად, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების წესი შეცვალა და ეს, რა თქმა უნდა, ეხებოდა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და უწყებებსაც. ამიტომ, უნდა გვესმოდეს, რომ ეს პროცესი ვერ დასრულდება 1 თვეში და ვერც 1 წელიწადში. შემდგომი წლები იქნება პანდემიის, გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის წლები.“ სჩანს, მთავრობასაც მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული აქვს მოსალოდნელი სირთულეების სიმწვავე.

დიაგრამა #10.

მიმდინარე ანგარიშისა და მისი უმთავრესი კომპონენტების ფარდობა მშპ-სთან, ფაქტი და პროგნოზი (2017-2024)



- საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის დინამიკაში საინტერესოა, რომ 2020 წლის მეორე კვარტლის ჩავარდნის შემდეგ, ექსპორტი სწრაფად აღდგა მესამე კვარტალში და დაიბრუნა ზრდის მრავალწლიანი ტრაექტორია. ამავ დროს, იმპორტი უფრო მეტად შემცირდა და ჯერაც არ დაბრუნებია ძველ ტრენდს. რაც შეეხება მომსახურებით ვაჭრობას, ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2000 წლიდან პირველად დაფიქსირდა კვარტალი უარყოფითი სალდოთი (-46.26 მილიონი აშშ დოლარი). ამის მიზეზია უცხოური ტურიზმისა და მოგზაურობის თითქმის მთლიანი კოლაფსი მეორე და მესამე კვარტლებში. ტურიზმის აღდგენას, სავარაუდოდ, დიდი ხანი დასჭირდება და საქართველო საგარეო შემოსავლებისა და მშპ-ს ამ მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავს. ამას გარდა, ქართულ ექსპორტში სულაც არ დომინირებს ისეთი საქონელი, რომელსაც დროთა განმავლობაში გაძვირების ტენდენცია ახასიათებს. ტურიზმის პოტენციალი ასე თუ ისე უკვე უახლოვდებოდა შესაძლებლობის ზღვარს და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ამ დარგში ხარისხზე მეტად ფასზე ორიენტაცია უწევს, 2021 და მომდევნო წლებში საერთაშორისო ტურიზმისთვის მოსალოდნელ არასახარბიელო გარემოში, შემოსავლების ფარდობითი შემცირება, სამწუხაროდ, სავსებით რეალისტურია.
- საქართველოსთვის ჯერჯერობით დადებითად მოქმედებს წამყვანი ქვეყნების მიერ განხორციელებული ფისკალური სტიმულირების პაკეტების შედეგად მიღებული შემოსავლების სტაბილიზაცია. ამან საშუალება მოგვცა მიგველო პირდაპირი ფულადი ტრანსფერები იმ ქვეყნებიდან, სადაც ბლომად არიან ემიგრანტი ქართველები მუდმივად თუ დროებით სამუშაოებზე. უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე ტრანსფერების მოცულობა 2020 წლის მესამე კვარტალში ბევრად აღემატება როგორც 2019 წლის მესამე კვარტლის მაჩვენებლებს, ასევე მრავალწლიან ტრენდსაც. ეს ფაქტორი მეტ-ნაკლებად იმოქმედებს 2021 წელს, თუმცა ეს შედარებით შეზღუდული რესურსია და მისი გავლენა მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე და მით უმეტეს, ეკონომიკის აღდგენაზე ახალ გარემოში საკმარისი ნამდვილად ვერ იქნება;
- თეორიულად შესაძლებელია შესუსტებულმა ლარმა ერთგვარად ხელი შეუწყოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რაც დაეხმარება ეკონომიკის აღდგენას, მაგრამ UNCTAD-ის ინფორმაციით, 2020 წელს მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40%-იანი წლიური ვარდნა ვერ შეიცვლება თანაბომადი პოზიტიური დინამიკით 2021 წელს. ასეც რომ იყოს, შეზღუდული საინვესტიციო რესურსებისთვის კონკურენცია ქვეყნებს შორის ბევრად უფრო გამძაფრებული იქნება, ვიდრე COVID-19-ის ეპიდემიამდე და ეს იმ ფონზე, რომ საქართველოსთვის არც 2018-2019 წლები იყო აღსანიშნავი ამ მიმართულებით. იმ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2013

წლის შემდეგ უდაბლეს დონეზე დაფიქსირდა. ახლო მომავალში საქართველოს კაპიტალდაბანდებისა და ეკონომიკის ზრდის ამ წყაროს ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს.

ზემოთ მოყვანილი ფაქტორები კარგადაა ცნობილი და დაფიქსირებულია როგორც საქართველოს მთავრობის ანგარიშებში, ასევე ოფიციალურ სტატისტიკაში. აქედან გამომდინარე, სრულიად გაუგებარია, როგორ დააფიქსირა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ, 2020 წლის 9 ივნისს პარლამენტში წარდგენილ განახლებული ბიუჯეტის კანონპროექტში ლარის მოსალოდნელი კურსი დოლართან 2.98 ნიშნულზე 2020 წლისათვის, როცა იგი უკვე 3.3-ს შეადგენს. დოლარისა და ლარის ფარდობა ასევე 2.98 ნიშნულზეა 2021-2014 წლების მთელი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაშიც. ეს გაუგებარია იმ ფონზე, რომ 2017 წლიდან დღევანდელზე ბევრად უფრო ხელსაყრელ ეკონომიკურ გარემოში ლარმა ღირებულების 21% დაკარგა და, მაკროეკონომიკური და საგარეო სექტორის დინამიკიდან გამომდინარე, თითქმის უქვევლად განაგრძობს გაუფასურებას 2021 წლიდან, შესაძლოა უფრო მაღალი ტემპითაც.

საბოლოო ჯამში, მაკროეკონომიკური და საგარეო ფაქტორების ერთობლიობა საკმაოდ სათუოს ხდის საქართველოს ეკონომიკის აღდგენის დაწყებას 2021 წელს. ლარის შემდგომი გაუფასურება მოსალოდნელია, რასაც დაერთობა სამუშაო ადგილების საგრძნობი კარგვა და ეკონომიკური ზრდის, როგორც მინიმუმ, საგრძნობი შემცირება 2021 წლიდან 2020 წლამდე პერიოდთან შედარებით. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობამ, თავისივე განმარტებით, უკვე დიდი რესურსები მოიზიდა და დახარჯა, გლობალური კრიზისის გაჭიანურების შემთხვევაში, არც მთავრობას აღმოაჩნდება დამატებითი რესურსი ეკონომიკური აგენტების დროებით მხარდასაჭერად და არც თავად ეკონომიკის აღდგენა მოხერხდება სასურველ ვადებში.

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი სოციალური მხარდაჭერა

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა კორონავირუსის გავრცელების პირველ ეტაპზე, 2020 წლის გაზაფხულზე შემუშავდა. ეს გეგმა მოიცავდა შემდეგ სამ ძირითად კომპონენტს: მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი სოციალური მხარდაჭერა (1 მილიარდ 35 მილიონი ლარი), ეკონომიკაზე ზრუნვა და მეწარმეობის მხარდაჭერა (2 მილიარდ 110 მილიონი ლარი) და ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და პანდემიასთან ბრძოლა (350 მილიონი ლარი). ეს ჯამში 3.5 მილიარდ ლარს შეადგენდა. სულ ახლახანს მთავრობამ გამოაცხადა პანდემიასთან ბრძოლის ღონისძიებათა მეოთხე ეტაპი, რომლითაც გრძელდება გაზაფხულზე დაგეგმილი და განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებები. ამათგან გამოსაყოფია ოჯახების დახმარება, სამსახურდაკარგულთა დახმარება, ერთჯერადი დახმარება იმ ობიექტებში დასაქმებულთათვის, ვისაც ეგრეთწოდებული წერტილოვანი შეზღუდვები შეეხო, დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, დახმარება ღარიბ ოჯახებსა და კომუნალური გადასახდელების სუბსიდირება. ამ ღონისძიებების ჯამური ღირებულება შეადგენს 54 7 მილიონ ლარს, დაწესებულია ახლახანს და ასახული არაა 2020 წლის 9 ივნისს საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ ბიუჯეტის ცვლილებაში. მასში აღნიშნულია, რომ შექმნილი კრიზისული ვითარების გამო, ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები მნიშვნელოვნად მცირდება, რაც უკავშირდება როგორც ეკონომიური სირთულეებით გამოწვეულ დანაკლისებს, ასევე საგადასახადო შეღავათებს. ამასთანავე, ავტორების ინფორმაციით, შექმნილი სიტუაცია ითხოვდა დამატებით ხარჯებს ეკონომიკის, სოციალური სფეროსა და სამედიცინო სფეროების სტაბილიზაციისთვის.

მთავრობის მოქმედებათა ანალიზისათვის აუცილებლად მივიჩნიეთ თავდაპირველი ანტიკრიზისული გეგმით, განახლებული ბიუჯეტითა და ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ეტაპით გათვალისწინებული ხარჯების ერთგვარი ინვენტარიზაცია და ერთმანეთთან შედარება. 9 ივნისის ბიუჯეტის ცვლილებაში ხშირად მეორდება მიმართება ანტიკრიზისულ გეგმასთან. ამას გარდა, გეგმისგან განსხვავებით, ბიუჯეტი ბევრად უფრო ზუსტი და სოლიდური დოკუმენტია, გასაგები მიზეზების გამო. თუმცა, ჩვენის აზრით, საჭირო იყო მეტი სიცხადე ყოფილიყო ბიუჯეტის გეგმაში იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართებაა ამ ორ დოკუმენტს შორის. ასე მაგალითად, გეგმაში საუბარია ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც არაპირდაპირ უკავშირდება ბიუჯეტს, მაგრამ არაა ნახსენები ბიუჯეტის ცვლილების განმარტებით ბარათში (მაგალითად, ავტომობილორთათვის განბაჟების გადავადება). ასევე, ბიუჯეტის ცვლილების დოკუმენტში დაზუსტებულია გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მოცულობა. სასურველია ვიცოდეთ მეტი, თუ რა იყო პირველადი შეფასებების დეტალები და რატომ და რის საფუძველზე შეიცვალა ისინი მოგვიანებით. დასაზუსტებელია საკრედიტო პორტფელისა და გარანტიების თავდაპირველი და დაზუსტებული მოცულობების ერთმანეთთან მიმართება.

ინვენტარიზაციის მიზნით, პირველ რიგში, ანალიზიდან გამოთიშულია სამედიცინო დანიშნულების ხარჯები, როგორებიცაა საკარანტინო სივრცეების მომსახურება, ჯანდაცვის ხარჯების ანაზღაურება, ვირუსთან ბრძოლაში ჩართული სახელმწიფო საავადმყოფოების სუბსიდირება, ასევე საზღვარგარეთიდან საქართველოს მოქალაქეების მგზავრობის (ფრენების) სუბსიდირება. იგივე ეხება პანდემიიდან გამომდინარე ჯანდაცვის დამატებითი ხარჯებს (მკურნალობასთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება), StopCoV ფონდის ანგარიშზე მობილიზებული თანხა, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად მიმართება ვირუსის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა და მისგან დაზარალებულთა დახმარებისათვის, ასევე მაღალმთიანი დასახლებების კანონში პარლამენტში ინიცირებული ცვლილებების შესაბამისად საჭირო დამატებითი ხარჯების დაფინანსება და სახელმწიფო

საკუთრებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების სუბსიდირებისთვის გამოყოფილი გრანტები. ამ სპეციფიკური ხარჯების კვლევა არაა წარმოდგენილი მასალის მიზანი.

ამას გარდა, ანალიზიდან გამორიცხულია შემდეგი დამატებითი კაპიტალური ხარჯები: 64,8 მლნ ლარი – ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის; 20,0 მლნ ლარი – ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სამშენებლო სექტორის დასახმარებლად დევნილებისთვის დამატებითი სახლების შესყიდვისათვის.

შემდეგ, ცალკეა გამოყოფილი **ცხრილი #2**, რომელშიც ნაჩვენებია **შერჩეული ანტიკრიზისული ღონისძიებები**, რომლებიც გაზაფხულზე შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმაშია ნახსენები და მიწერილი აქვს, თუ როგორაა ისინი ასახული 2020 წლის 9 ივნისის ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტით წარმოდგენილი **ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში**.

ამის შემდეგ, ცალკეა გამოყოფილი 2020 წლის 9 ივნისის ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტით გათვალისწინებული **რეგულაციური დამატებითი ხარჯები (ეკონომიკის სტაბილიზაციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული)** და მათ მიწერილი აქვს ის, როგორცაა ისინი ასახული გაზაფხულზე შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმაში, ასევე ანტიკრიზისული გეგმის მე-4 ეტაპის დოკუმენტებში (**ცხრილი #3**). ღონისძიებათა მუხლების დასახელებები მაქსიმალურად ზუსტადაა გადმოცემული გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად.

ცხრილი #2. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ცალკეული კომპონენტები

ღონისძიება	მონეტარული სიდიდე გაზაფხულის ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით (ათასი ლარი)	ასახულია ბიუჯეტის ცვლილების პროექტის შემოსავლებს ნაწილში (ათასი ლარი)
ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესსუბიექტების 4 თვით ქონების და საშემოსავლო გადასახადის 2020 წლის 1 ნოემბრამდე გადავადება	90,000	45,000
ავტომობილებისათვის ავტომობილის განბაჟების გადავადება 2020 წლის 1 სექტემბრამდე	50,000	
ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის სამშენებლო მასალების ფასების ზრდის დაზღვევა	200,000	
ყოველ შენარჩუნებულ სამუშაო ადგილზე დასაქმებულისთვის სუბსიდია 6 თვის განმავლობაში 750 ლარამდე ხელფასის სრულად, ხოლო 1500 ლარამდე ხელფასიდან 750 ლარზე კუთვნილი საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება	250,000	250,000
დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმის ამოქმედებით დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების გაორმაგება	600,000	600,000
კომერციული ბანკებისთვის გრძელვადიანი რესურსის მიწოდება	600,000	600,000
აგროკრედიტი	50,000	
სასოფლო-სამეურნეო სესხები	50,000	
იურიდიული პირების სესხის რესტრუქტურისა და შესაძლებლობის მიცემა		
პენსიების ინდექსაციის შემოღება		

2020 წელს სამელიორაციო დაგალიანებებისგან გათავისუფლება და წინა წლების სრულად ჩამოწერა		
1.3 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია		
ჯამი	1,890,000	1,495,000

წყარო: <https://stopcov.ge/>

ცხრილ #2-ში მოყვანილი ღონისძიებებიდან, რელევანტურობის თვალსაზრისით იმთავითვე გამოსარიცხია პენსიების ინდექსაციის შემოღება და 1.3 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია. გაუგებარია, რა კავშირი აქვთ ამ ღონისძიებებს COVID-19-ის კრიზისის დაძლევატან. ასევე გაუგებარია, რატომ ჩაითვალა ავტომობილების იმპორტის განბაჟების გადავადება 1 სექტემბრამდე ანტიკრიზისულ ზომად. ესაა მთავრობის ერთჯერადი ჟესტი, რომელიც ეკონომიკურად ფრაგმენტულია.

დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმით მთავრობა ზედმეტობის დაბრუნების გაორმაგებასაც ანტიკრიზისულ ღონისძიებად თუ თვლიდა, მაშინ გამოდის, რომ ამ ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტამდე მრავალი წლის განმავლობაში ქვეყანაში კრიზისული მდგომარეობა ყოფილა. გადასახადის ადმინისტრირების ამ ხარვეზის გამოსწორება სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულება იყო და მას კორონავირუსის გავრცელება არ უნდა დასჭირებოდა. ამოცანა სულაც არაა დღგ-ს დაბრუნების გაორმაგება ან გაოთხმაგება. ამოცანა უნდა იყოს გადამხდელთან ანგარიშსწორებაში არსებული განსხვავებების უმოკლეს ვადაში გასწორების მექანიზმის შემუშავება და აღსრულება, რასაც კორონავირუსთან კავშირი არ აქვს.

ფასების დაზღვევას რაც შეეხება, კორონავირუსის კრიზისის დაწყებიდან აშკარა გახდა, რომ საერთაშორისო სავაჭრო საქონელზე ფასების გაზრდა არ მოხდებოდა. ფასების ზრდა დაუკავშირდებოდა ლოგისტიკურ პრობლემას, რასაც ბუნებრივად იწვევს შეფერხებები და საკარანტინო ღონისძიებები საზღვრებს შორის საქონლის მოძრაობისას. რაც შეეხება საცალო ფასებს, მათი ცვლილება სავსებით ლოგიკურად დაუკავშირდა მოხმარების მახასიათებლების ცვლილებას, რაც მოსახლეობის მოძრაობის შეზღუდვამ მოიტანა. ეს სრულიად სხვა პრობლემაა და რა საჭიროა ან როგორ უნდა მოხდეს აქ სუბსიდირება, გაუგებარია. ასევე საკითხავია, ვინ და რა გზით განსაზღვრავს რომელია ძირითადი სასურსათო საქონელი და რომელი არა.

საინტერესოა ტურიზმის ბიზნეს-სუბიექტების საშემოსავლო და ქონების გადასახადების 4 თვით გადავადება 2020 წლის 1 ნოემბრამდე. აქ საკითხავია, ფიქრობდა თუ არა მთავრობა იმას, რომ კრიზისი სწრაფად განიმუხტებოდა და ეს ბიზნეს-სუბიექტები 1 ნოემბრიდან შეძლებდნენ დაგროვილი გადასახადების დაფარვის დაწყებას? საკმაოდ უადგილო და დაუსაბუთებელი ოპტიმიზმით სავსე განცხადებები ზაფხულის განმავლობაში ფრენების აღდგენისა და ტურისტებისათვის „უსაფრთხო ზონების“ მოწყობის შესახებ, კარგად ასახავს იმას, რომ მთავრობას პრობლემის სიმწვავე სრულად გაცნობიერებული არ ჰქონდა. ეს უცნაურია, რადგან მაშინ უკვე იყო საუბარი ახალ შეზღუდვებზე და დიდი ქვეყნები ეკონომიკის გახსნას ნამდვილად არ გეგმავდნენ.

ამ ფონზე გაუგებარია შენარჩუნებულ სამუშაო ადგილებზე გაცემული სუბსიდის ეკონომიკური შინაარსი. დამსაქმებელს დასაქმებულის გათავისუფლებას შექმნილი არაორდინალური ვითარება აიძულებდა. ცალკეულ შემთხვევებში, მთელმა რიგმა ბიზნესებმა მთლიანად ან თითქმის მთლიანად დაკარგეს შემოსავლები. დამსაქმებელს ბრუნვა და მოგება არ გააჩნდა, ხოლო დასაქმებულს – ხელფასი. ასეთ ვითარებაში რა დიდი აზრი აქვს დასაქმებულის გათავისუფლებას? ეს, ალბათ მაშინაა მოსალოდნელი, როცა ბიზნესი გაკოტრდა და დასაქმებულისთვის ანაზღაურების გაცემას ვეღარასოდეს შეძლებს. ასევე, საქართველოს ეკონომიკაში მხოლოდ ორი დარგია, სადაც ხელფასი 750 ლარზე ნაკლებია. აქედან პირველია განათლება, სადაც სახელმწიფო დომინირებს და სამუშაო თითქმის არავის დაუკარგავს. მეორეა სოფლის მეურნეობა, სადაც მეტწილად არაფორმალური დასაქმებაა განმსაზღვრელი. ამის გათვალისწინებით, საშემოსავლო შეღავათების ეს ნაწილი ვისთვისაა

განკუთვნილი, გაუგებარია. სხვა საქმეა, რომ მთავრობა ასევე 1500 ლარამდე ხელფასიდან 750-ს ათავისუფლებს საშემოსავლო გადასახადიდან, მაგრამ ამის ეფექტიც სათუაო.

რთული გასაგებია სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამშენებლო მასალების ფასების ზრდის დაზღვევა. კითხვებს ბადებს როგორც ზომის რელევანტურობა, ისე მიზანშეწონილობა და განხორციელების მექანიზმები.

დღევანდელ მსოფლიოში მოქმედი საბანკო სისტემების პირობებში, კრიზისულ სიტუაციაში მათთვის ლიკვიდურობის მიწოდება ლოგიკურია კოლაფსის თავიდან ასარიდებლად. იგივე ეხება იურიდიული პირებისთვის სესხების რესტრუქტურირების ხელშეწყობას.

ანტიკრიზისულ გეგმაში გაზაფხულზე დაფიქსირებული აგროკრედიტები და სასოფლო-სამეურნეო სესხები უკვე კარგა ხანია გამოიყენება და რაში მდგომარეობს მათი ანტიკრიზისული ბუნება, რთული სათქმელია. საკმაოდ უცნაურია სამელიორაციო ვალდებულებებისაგან გათავისუფლება 2020 წელს და სრული ჩამოწერა წინა დავალიანებებისა. არა მგონია, ეს სამართლიანი ღონისძიება იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, ერთი კატეგორიის ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც ობიექტურად ვერ ახერხებენ მუშაობას, მაგრამ ბიუჯეტთან დავალიანება არ აქვთ, მხოლოდ გადასახდელების გადავადება ერგებათ. ამავე დროს, სხვა ეკონომიკურ აგენტებს, რომლებმაც დაარღვიეს ვალდებულება და წინა, უკრიზისო პერიოდში არ გადაიხადეს კუთვნილი გადასახდელები, ამ ვალდებულებებს ჩამოაწერენ და ახალსაც დაუმატებენ.

ცხრილი #3. ანტიკრიზისული ხარჯები, რომლებიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების 2020 წლის 9 ივნისის კანონპროექტში, ასევე ანტიკრიზისული გეგმის თავდაპირველი ვარიანტისა და მისი მეოთხე ფაზის დოკუმენტებში

ღონისძიება	დამატებითი ხარჯები 2020 წლის 9 ივნისის პარლამენტში წარდგენილი ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით	გაზაფხულზე შედგენილი ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით	ანტიკრიზისული გეგმის ახალი, მე-4 ეტაპის მიხედვით
მოქალაქეთათვის კომუნალური გადასახადების დაფინანსება	170,000	150,000	270,000
მცირე სასტუმროებისათვის საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის ხარჯის 80%-ის სუბსიდირება	70,000	10,000	
სამსახურდაკარგული ან უხელფასო შვებულებაში გაშვებული დაქირავებით დასაქმებულთათვის დახმარება თვეში 200 ლარი, 6 თვის განმავლობაში, გაგრძელება კიდევ 6 თვით	450,000	460,000	150,000
არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებთან ან თვითდასაქმებულთა ერთჯერადი დახმარება 300 ლარის რაოდენობით, შემოსავლის დაკარგვის დასაბუთების შემთხვევაში	75,000	75,000	30,000
სარეიტინგო ქულების მიხედვით ოჯახებისთვის გაცემული საშუალოდ 600 ლარიანი ჯამური დახმარება	61,000	58,000	70,000

მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე ბავშვების ჯამური დახმარება	24,000	25,000	27,000
საკრედიტო საგარანტიო სქემა	330,000	300,000	
მცირე გრანტები	20,000		
სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა	20,000		
სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა	115,000		
ჯამი	1,335,000	1,078,000	547,000

წყარო: <https://stopcov.ge/>; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მოსახლეობის კომუნალური ხარჯების დაფინანსება, რომელიც ინიცირებული იყო ანტიკრიზისული გეგმით, სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებაშიც აისახა და გრძელდება 2020 წლის ბოლოს შემოღებული ახალი შეზღუდვების შემდეგაც. ამჯერად, ამ ხარჯებისთვის მეტია გათვალისწინებული, რაც სეზონური ფაქტორებით უნდა აიხსნას და აგრეთვე იმით, რომ უწინდელი 3 თვის ნაცვლად ფინანსდება 4 თვის ხარჯები. საბოლოო ჯამში ეს ხარჯები რამდენ მოქალაქეს შეეხება გაირკვევა და აისახება ქვეყნის ახალ ბიუჯეტშიც, როცა მათი მოქმედების ვადა გაივლის 2021 წლის თებერვალში. ეკონომისტებისათვის კრიზისამდეც ცხადი იყო, რომ კომუნალური სფეროს სტაბილური ფუნქციონირებისათვის უახლოეს მომავალში აუცილებელი გახდებოდა ტარიფების ზრდა, რაც ობიექტური ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. მაგალითად, ამ მასალის მომზადებისას, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 2020 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, უკვე მნიშვნელოვნად გაიზარდა ტარიფი როგორც საყოფაცხოვრებო, ისე არასაყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის. ასეთ სიტუაციაში საკითხავია, როგორღა გამოდის კომუნალური სფეროს სუბსიდირება ანტიკრიზისული ღონისძიება?

არავითარ ექვს არ იწვევს შშმ პირებისა და შეჭირვებული ოჯახების ფულადი დახმარების მიზანშეწონილობა შეზღუდვების მოქმედების მთელ პერიოდში, COVID-19 მსოფლიოში უკვე ღარიბთა დაავადებად გახდა ცნობილი, ამგვარად სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის გაცემული შემწეობა ცალსახად გამართლებულია, თუმცა აქ უნდა დაისვას კითხვა, – საჭირო იყო თუ არა მეტი დახმარება ამ კატეგორიის ადამიანებისათვის და უნდა ყოფილიყო თუ არა მთავრობის ქმედება ზოგადად მოსახლეობისათვის დაკარგული შემოსავლების შესაძლებლობის ფარგლებში ანაზღაურებაზე და არა ბიზნესების დახმარებაზე ორიენტირებული? ბიზნესის დახმარების სქემები არაეფექტურია ნორმალურ დროს და რატომ უნდა იყოს ისინი ეფექტური ახლა? ხომ არ სჭობდა მთავრობას ეცადა მინიმალური შეზღუდვებით შეენარჩუნებინა ქვეყანაში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ნორმალური ფუნქციონირება, ხოლო საგადასახადო დანაკლისი, რაც ამ ზომების შემოღებით მიადგებოდა ბიზნესს, მოგვიანებით, უფრო კონკრეტული, მშვიდად გაწერილი გეგმის ფარგლებში დაეთვალა და შეძლებისდაგვარად გაესწორებინა?

ძალიან უცნაურია მთავრობის მექანიციური ლოგიკა სამსახურდაკარგულთათვის თვეში 200 ლარის ანაზღაურების კომპონენტში. ბიუჯეტში ეს დახმარება 6 თვის განმავლობაშია გაწერილი, ხოლო ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ფაზაში – მხოლოდ 2 თვის განმავლობაში. პირველ შემთხვევაში გათვალისწინებულია დაახლოებით 350 000 ათასი მოქალაქე, ხოლო შემდეგ – 125 ათასი. საიდანაა ცნობილი, რომ ბენეფიციართა რიცხვები ზუსტად ის იქნება, როგორც გაწერილია? საიდანაა ცნობილი, რომ ყველა და ხელფასდაკარგული დაიბრუნებს მას ან ყველა ის ბიზნესი აღდგება, რომლებიც დროებით დაიხურა? ასეთ შემთხვევაში, იღებს თუ არა რაიმე ვალდებულებას მთავრობა მათ წინაშე? თუ არ იღებს, მაშინ რატომ აიღო ვალდებულება ჯერ 350 000 და მერე 125 000 ადამიანის წინაშე შესაბამისად, როგორც ეს ანტიკრიზისული გეგმის გაზაფხულის ვარიანტსა და მის მეოთხე ფაზაშია მოცემული? შესაძლებელია, მთავრობამ დააზუსტა და უფრო რეალისტური გახადა გათვლები მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ 2020 წლის 4 დეკემბრისათვის ამ სქემით მხოლოდ 162 000 ადამიანმა

² <https://civil.ge/ka/archives/389393>

ისარგებლა³, მაგრამ განა ეს საკმარისია ასეთი ოპტიმისტური განწყობის შესაქმნელად? გარდა ამისა, მარტივ ლოგიკას თუ გავყვებით, მთავრობის საკომპენსაციო სქემა რეალურად ანაზღაურებს საშუალო დასაქმებულის ხელფასის მხოლოდ მეხუთედს (იხ. ხელფასების სტატისტიკა, საქსტატის მიხედვით). რა სერიოზული ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მას გარდა მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, ინფლაციის პოტენციალზე რომ არაფერი ვთქვათ? თუ ასეა, მაშინ მთავრობას მინიმალურად შესაძლებელი თანხები ყველასთვის დაერიგებინა და განემარტა, რომ სახელმწიფოს მეტის შესაძლებლობა არ აქვს?

ხელფასდაკარგულთა დახმარების სქემები, რომლებიც COVID-19-ის პერიოდში ამუშავდა, ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში. ამ ღონისძიებების მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა იმთავითვე საეჭვო იყო, მაგრამ საქართველოს მთავრობას არც რესურსი აქვს და არც ვალდებულება ამ სქემების კოპირებისა. გარდა ამისა, ხსენებულ ქვეყნებში ამ სქემებით ხელფასების მინიმუმ 80% ანაზღაურდება (იხ. furlough scheme ბრიტანეთში), საქართველოში კი სულ რაღაც 20% და ისიც შერჩევითად. ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ფაზის მიხედვით, სქემის ბენეფიციარებად 125 ათასი დასაქმებული მოიაზრება. საიდან ვიცით, რომ დანარჩენ დასაქმებულებს ხელფასი შეუფერხებლად მიეცემათ და დახმარების მოსურნე რეალურად მეტი არ იქნება? იმავე დიდ ბრიტანეთში უკვე ბევრი ბიზნესი, მათ შორის მცირე ბიზნესი განცხადებას ავსებს გაკოტრების შესახებ და მათი ფუნქციონირება აღარ აღდგება. რამდენად კარგად აქვს გათვლილი საქართველოს მთავრობას ასეთი შესაძლებლობა? გაუგებარია, რა ლოგიკით ეძლევათ თვითდასაქმებულებს ერთჯერადად მხოლოდ 300 ლარი? ამ ადამიანების მოთხოვნილებები განსხვავდება ფორმალურად დასაქმებულთა მოთხოვნებისგან? ყველა მთავრობას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ მოსახლობისა თუ ბიზნესისათვის ბიუჯეტიდან ამა თუ იმ მოტივით თანხების გადაცემა ვერ აცდება სამართლიანობის პრობლემას. ფორმალურად დასაქმებულები სახელმწიფოსაგან თუ მეტს იღებენ ვიდრე არაფორმალურად დასაქმებულები, გამოდის, რომ მათ მეტი კომპენსაცია ეძლევათ მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმალური სამუშაო ადგილი გააჩნიათ და საშემოსავლო გადასახადს იხდიან? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის პოვნა ძალზე ძნელია.

გაზაფხულზე შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, მცირე სასტუმროებისათვის საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის ხარჯის 80%-ის სუბსიდირება გათვალისწინებული იყო 10 მილიონი ლარით, ბიუჯეტის ცვლილების პროექტით კი – 70 მილიონი ლარით. ეს სქემაც სუბსიდირების სტანდარტული მიდგომების ნაკლოვანებებით იმუშავებს, რაც ყველასათვის კარგად ცნობილია. ამავე დროს, არ ვიცით რა უნდა ჩაითვალოს ასეთი სქემის წარმატების კრიტერიუმად, ვინაიდან შესაბამისი განმარტება მთავრობას არ გაუკეთებია.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის დაფინანსება განახლებულ ბიუჯეტში წარმოდგენილია 330 მილიონი ლარით. ეს სქემა და შესაბამისი ფონდი ჯერ კიდევ 2019 წლის პირველ კვარტალში შეიქმნა. მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის განმარტებით, „საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი ბევრ ბიზნესს ფინანსებზე წვდომის პრობლემას მოუხსნიდა. მისივე განცხადებით, აღნიშნული სქემის გამოყენებისას გათვალისწინებული იქნებოდა ის პრიორიტეტები, რომლის განვითარებაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისათვის. მათ შორისაა, წარმოება და გადამუშავება, საგანმანათლებლო საქმიანობა, ტრენინგ ცენტრები, სერვისების ექსპორტი, გადამამუშავებელი სოფლის მეურნეობა, კვლევები და განვითარება, სამედიცინო მომსახურება, ტურისტული მომსახურება და სხვა.“ საინტერესოა, მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის ლოგიკით, საქართველოს საბანკო სისტემა სათანადოდ ვერ აფინანსებდა საქართველოს ეკონომიკას? შეიძლებოდა რამის გაკეთება ამ მიმართულებით? გაკეთდა რაიმე და რა? რაღა მაინცდამაინც დამატებითი ინსტიტუტის შექმნა გახდა საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მაშინ, როცა საბანკო სექტორისთვის კარგი პროექტების არსებობის შემთხვევაში 330 მილიონი ლარის ბიზნესში მიმართვა რაიმე პრობლემას არ წარმოადგენს? რით აიხსნება ის გარემოება, რომ მთავრობა მუდმივად აპელირებს თვალსაჩინო ზრდაზე ნახსენები დარგების უმეტესობაში და ამავე დროს, საკრედიტო-საგარანტიო სქემით აპირებს თითქოსდა ფინანსებთან წვდომის პრობლემის მოგვარებას. ჩემი აზრით, ფინანსებთან წვდომა ქართული ეკონომიკის ყველაზე ნაკლები პრობლემაა. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია კომპეტენციისა და კარგი პროექტების დეფიციტი. საინტერესოა, რატომ ჩაითვალა ანტიკრიზისულ ღონისძიებად ასეთი სქემისათვის თანხების გამოყოფა? ბიზნესებს საქართველოში კარგი იდეებისა და შესაბამისი პოტენციალის

³ <https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/1870833209721241>

შემთხვევაში დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობები საკმაოდ აქვთ, ასეთი სქემები კი, საბოლოო ჯამში, მხოლოდ აძვირებს საკრედიტო რესურსს. ეს ეკონომიკურ ლიტერატურაში კარგადაა ნაჩვენები. ჩემი აზრით, ნაცვლად ამ სქემის დაფინანსებისა და თანაც ახალი ვალების მეშვეობით, გონივრული იქნებოდა მისი საერთოდ გაუქმება, რაც სახელმწიფოს საკმაოდ დიდი თანხის ეკონომიის საშუალებას მისცემდა.

რთული დასადგენია მცირე გრანტებისა და სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის ანტიკრიზისული ბუნება. სამშენებლო სექტორს ბოლო წლებში ლიკვიდობისა და მოთხოვნის პრობლემა ნამდვილად არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, ყველაზე უპრიანი იქნებოდა ამ სექტორის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის არშეშლა.

დაბოლოს, ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის დამატებით გამოყოფილი 139 მილიონი ლარიდან 69 მილიონი მიმართულია რთველის დასაფინანსებლად, რაც პანდემიისა და კრიზისის კონტექსტში საკმაოდ კურიოზული მუხლია. საქართველოს მთავრობა ვერ ელევამ ამ არქაულ მექანიზმს, რომელსაც მეღვინეობის სექტორის განვითარებისათვის კარგი არაფერი მოუტანია. მის სამართლიანობაზე საუბარი საერთოდ უადგილოდ მიმაჩნია. და კიდევ, საიდან იცის მთავრობამ რომ რთველის ბენეფიციარებში არ მოხვდებიან არც ხელფასდაკარგულები არც არაფორმალური სექტორის წარმომადგენლები, ვისაც დახმარება ეკუთვნით? სამთავრობო დოკუმენტებში იგრძნობა არსებული ვითარებით შეშფოთების ტონი, მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება ამ ღონისძიების დასაფინანსებლად საკმაოდ დიდი თანხების გამონახვა იმ დამატებითი ხარჯებიდან, რომლებიც ქვეყანამ ვალის ზრდით მიიღო. სოფლის მეურნეობაში ანტიკრიზისულ ღონისძიებად ვერც ფერმერთა 200 ლარიანი დახმარება, ვერც ტექნიკისა და საარწყავი სისტემის თანადაფინანსება და ვერც სასურსათო მარაგების შექმნა და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების სუბსიდირება ჩაითვლება. რა საჭიროა ისინი? რაში მდგომარეობს მათი ანტიკრიზისული ეფექტი? რა უნდა მივიღოთ მათი განხორციელებიდან და რა ვადებში?

საბოლოო ჯამში მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა და განახლებული ბიუჯეტი, რომელშიც ანტიკრიზისულ გეგმაში გაწერილი ღონისძიებების ნაწილი დაზუსტდა და გაიწერა, არაერთგვაროვან შთაბეჭდილებებს ტოვებს. ერთის მხრივ, მიგვაჩნია, რომ სწორია მოსახლეობის დაუცველი ფენებისათვის დამატებითი დახმარების მიწოდება და ბანკებისათვის ლიკვიდობის დამატებითი რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დანარჩენი ღონისძიებების რელევანტურობა, მიზანშეწონილობა და ეფექტი სათუთა.

ანტიკრიზისული დოკუმენტების ერთობლიობას აკლია სიცხადე, მკაფიო ხედვა პრობლემისა და მასში არ ჩანს კრიზისის შედეგების შერბილების გზების ალტერნატიული ვარიანტებიდან საუკეთესო შერჩევის პროცესი. ძნელია წარმოდგენა მივიღოთ იმაზე, თუ რა ჩაითვლება ეკონომიკის აღდგენის აღმძრავად, რა მიიჩნევა მნიშვნელოვან სფეროებში კრიზისის დაძლევის დასაწყისის ინდიკატორებად და სხვა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ცვლილებები შეთანხმებულია სავალუტო ფონდთან, რაც კარგია, მაგრამ ხარისხის გარანტიას ნამდვილად არ იძლევა. თავად სავალუტო ფონდის ხედვებშიარის სერიოზული გამართივებები მსოფლიო ეკონომიკის აღდგენასთან დაკავშირებით. ამიტომას სჭობდა, და ეს შესაძლებელი იყო, აპრილ-მაისის პერიოდი უფრო საფუძვლიანი გათვლებისთვის ყოფილიყო გამოყენებული. მართალია მთავრობა ბიუჯეტის პროექტის მიხედვით კვეცავს წარმომადგენლობით ხარჯებს, ამცირებს ასიგნებებს სპორტისათვის და სხვა, მაგრამ ბიუჯეტში მაინც იყო რესურსი ცალკეული უეფექტო პროგრამის გასაუქმებლად, რაც საკმაოდ დიდ თანხებს დაზოგავდა. ამაზე ვრცლად საუბარი ზემოთ. 2020 წლის 9 ივნისს წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის დოკუმენტის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიღწეული შეთანხმებები და მთავრობის შესაბამისი მოქმედები იძლევა საშუალებას ბიუჯეტში დარჩეს თავისუფალი სახსრები იმ შემთხვევისთვის, თუ ეკონომიკის აღდგენის პროცესი საბაზისო ვარიანტზე უარესად წარიმართება. ეს კარგია, მაგრამ ალბათ სჭობდა მთავრობას კიდევ უფრო მეტი თანხები გამოეთავისუფლებინა და ნაკლები ახალი ვალი აეღო. მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რა იქნება საბაზისოზე უარესი ვარიანტის განვითარების შემთხვევაში და ხომ არ დადგება ხანგრძლივადიანი მაკროეკონომიკური ჩარჩოს გადახედვის აუცილებლობა?

მოქალაქეებს უნდა ესმოდეთ, რომ 2021 წლიდან ეკონომიკის კრიზისამდე კალაპოტში

დაბრუნების შანსი მოკრძალებულია, მისი გაჭიანურების შანსი კი საკმაოდ მაღალი. ასეთ ფონზე, აუცილებელია სწორი კომუნიკაცია მთავრობასა და მოსახლეობას შორის მოგვიანებით „უსიამოვნო სიურპრიზების“ თავიდან ასაცილებლად. პრობლემები მოსალოდნელია საგარეო ვალის, ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი ტრენდის მკვეთრი გაუარესების, ცხოვრების სტანდარტების შემცირებისა და სავალუტო კურსის გაუფასურების მიმართულებით.

კორონავირუსის ეპიდემიაზე სახელმწიფოთა ნაჩქარევი რეაქცია მსოფლიო ეკონომიკაში სერიოზული პრობლემების აღმძრავი გახდა, რომელთა ნაწილი ამ დოკუმენტშია განხილული. როგორც რამდენიმე თვის წინ ვწერდით, კორონავირუსი საშიში დაავადებაა, რომლის მკურნალობას მსოფლიო ჯერ კიდევ სწავლობს. დაავადების გავრცელებას მოჰყვა დაახლოებით 2 მილიონი ადამიანის გარდაცვალება მსოფლიოში, ხოლო საქართველოში უკვე თითქმის 2500-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ეს ტრაგედია და მძიმე დანაკარგია.

წამყვანმა ქვეყნებმა პანიკური რეაქციით და სიტუაციის არაკომპეტენტური მართვით ბევრად დაამძიმეს ვითარება და ამ დამძიმებული ვითარებით შექმნილი ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დაძლევა სხალი ვალების აღებით მოპოვებული სახსრებით ცდილობენ. ეს, ფაქტობრივად, მომავალი თაობებიდან მათ უკითხავად ნასესხები ფულია, რომლის დაბრუნება ამ უკანასკნელთ გარანტირებული სულაც არ აქვთ.

ბოლო დროს თითქოს ერთგვარ ნორმად იქცა ეკონომიკური კრიზისების სხვადასხვა ტიპის „სტიმულირების პაკეტებით“ ჩაქრობა. ეს არ არის სოლიდური მაკროეკონომიკური პოლიტიკა, არღვევს ეკონომიკებში დაზოგვის, ინვესტირების, საბიუჯეტო დისციპლინის სტიმულებს და არა პრობლემის მოგვარების, არამედ მისი გადავადების მექანიზმია. ამ გზით მანევრირების რესურსი ეწურებათ მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, საქართველოს კი ეს ფუფუნება საერთოდ არ აქვს ბევრი აშკარა მიზეზით.

ის, რომ „ლოქდაუნის“ პოლიტიკა ცალკეულ ქვეყნებში დღესაც კი მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ იგი სწორია. ამ ფენომენის ნაწილობრივ ახსნა იმითაც შეიძლება, რომ დასაქმებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას ხელფასების უდიდესი ნაწილი ჯერჯერობით „სახლიდან გაუსვლელად ეძლევათ.“ ეს დიდხანს ვერ გასტანს. ამას აუცილებლად მოჰყვება მტკივნეულ რეალობასთან დაბრუნება.

შედარებით მცირე ზომის ქვეყნების ქმედებებში აშკარად სჩანს დიდი ქვეყნების ღონისძიებების მიბაძვის კვალი. ეს პოლიტიკურად გასაგებია, ვინაიდან ამით მთავრობას მოსახლეობის ერთგვარი დამშვიდების საშუალება ეძლევა. მაგრამ ეს ღონისძიებები უმეტესწილად გამართლებული და საქართველოს მთავრობას მართებს ზედმინვენიტ კარგად აუხსნას მოსახლეობას შექმნილი ვითარების მთელი სიმწვავე და არ დაიმშვიდოს თავი ზაფხულის ბოლოს ტურიზმის აღდგენისა და „უსაფრთხო ზონების“ შექმნის უსაფუძვლო ილუზიებით. საქართველოში ეკონომიკის აღდგენა თითქმის მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება პროცესები დანარჩენ მსოფლიოში. მაქსიმუმი, რაც საქართველოს მთავრობას შეუძლია ისაა, რომ შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქოს ტვირთი მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებს და ეცადოს არ დაარღვიოს ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტები, რათა არ დაიკარგოს მომავალში ქვეყნის განვითარების პერსპექტივები.

ეკონომიკური პოლიტიკის ყველა განმახორციელებელს უნდა ესმოდეს, რომ ყოველი ქმედება დაკავშირებულია ექსტერნალიტეტთან და მოსდევს გაუთვლელი შედეგები. ქვეყნის ეკონომიკა მეტად მყიფე სისტემაა და მისი ელემენტების მუშაობაში უხეში და გაუაზრებელი ჩარევა კარგს არაფერს მოიტანს. გაუმართლებელია ადამიანთა უფლებების დაუსაბუთებელი ხელყოფა, განათლების სისტემის ნორმალური მუშაობის შეჩერება და სხვა. კანონები, რეგულაციები და შეზღუდვები უნდა იყოს გასაგები, საჭირო, სამართლიანი და დასაბუთებული, რათა მოსახლეობას მათი შესრულება მეტად სამძიმოდ არ ექცეს. სახელმწიფომ ამ ფორსმაჟორული სიტუაციის დაძლევა უნდა სცადოს საზოგადოების დამშვიდების და მასთან თანამშრომლობის

მეშვეობით. ალბათ სჭობდა ბიზნესთან კონსულტაციებით გვიანი გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში შემუშავებულიყო გადასახადების გადავადების ან ჩამოწერის სქემა, რომელიც დროში იქნებოდა გაწერილი ეკონომიკური საქმიანობის მაქსიმალურად შესაძლებელ დონეზე შენარჩუნებით ტრანსპორტის, სასტუმროების, სხვა სერვისების ფუნქციონირების შენარჩუნების მეშვეობით.

დღეს საქართველოში მთავრობის მხრიდან ხშირად ისმის, რომ „ლოქდაუნისა“ და ე.წ. „წერტილოვანი შეზღუდვების“ გარეშე ბევრად მძიმე შედეგი დადგებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა გაზაფხულის „ლოქდაუნს“? გამოდის, რომ მან ვერანაირად ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია, დიდი რესურსები კი მოითხოვა. აქვე იბადება მეორე კითხვაც, იყო თუ არა გათვლილი მოვლენათა არასასურველი სცენარით განვითარების ვარიანტი? თუ იყო, რატომ აღმოჩნდა შექმნილი ვითარება ასე მოულოდნელი როგორც საზოგადოებისთვის, ასევე მთავრობისათვის?

დასასრულს, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში იკვეთება ახალი „ლოქდაუნების“ შემოღების შესაძლებლობა. ამან შეიძლება უკვე კატასტროფული ეკონომიკური შედეგები მოიტანოს, რომელთა მასშტაბის განჭვრეტა ძნელია. საზოგადოებამ და მთავრობამ მკაფიოდ უნდა გააცნობიერონ, რომ ეკონომიკის მკაცრი შეზღუდვის პოლიტიკა მცდარი და უპერსპექტივია. უფრო მეტიც, იგი დამაზიანებელი და სახიფათოა ბევრი თვალსაზრისით. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და სხვა სახელმწიფოში მიღებული გადაწყვეტილებების გადმოღების ვალდებულება სულაც არ აკისრია.

დღეს საკმაოდ ადვილია მონაცემების მოგროვება ბევრ ქვეყანაზე იმის შესახებ, რომ ეპიდემიის აფეთქებათა რიცხვი დიდი არ არის საცალო და საბითუმო ვაჭრობის, ტრანსპორტისა თუ სხვა სექტორებში (მაგ, კანადა, ბრიტანეთი და სხვა). აფეთქებათა და გარდაცვალებათა უდიდესი წილი მოდის საავადმყოფოებსა და თავშესაფრებზე. სასწავლო დაწესებულებათა და სამრეწველო ობიექტების ტერიტორიაზე აფეთქებათა რიცხვი მართალია თვალშისაცემია, მაგრამ ჯერადად ნაკლებია საავადმყოფოებსა და თავშესაფრებზე, ხოლო გარდაცვალებათა რიცხვი მიზერულია. გარდა ამისა, უკვე უამრავი მასალა დაგროვდა იმაზე, რომ „ლოქდაუნ“ იწვევს სიკვდილიანობის ზრდას სხვა მიზეზებით როგორც ახლაც, ისე მომავალში. მოსწავლეთა და ახალგაზრდებისათვის დაკარგული სასწავლო წელი აუნაზღაურებელი დანაკარგია და ონლაინ სწავლებით ამის კომპენსაციის შესახებ საუბარი სრულიად არაადეკვატურია. სათქმელია ისიც, რომ მაგალითად საქართველოში საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გაჩერებამ მყისვე შექმნა ნახევრადლეგალური ბაზარი და ადამიანები მაინც გადაადგილდებიან, თუმცა ბევრად უფრო ძვირად, ვიდრე შეზღუდვებამდე. გამოდის, რომ ასეთი ტიპის შეზღუდვა არღვევს კანონისადმი ნდობას, რასაც შორს მიმავალი ნეგატიური შედეგები ექნება.

გაუმართლებელია ღია სივრცეში ნიღბის სავალდებულო ტარების მოთხოვნა და „დამრღვევთათვის“ ჯარიმების დაწესება, მაშინ, როცა 2020 წლის 1 დეკემბერს გამოქვეყნებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინი ამბობს სხვას და იძლევა დეტალურ რეკომენდაციებს კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად. საჭიროა მოიხსნას მუდმივი განგაშის განწყობა და საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია, რომ მართალია COVID-19 სერიოზული დაავადებაა, ის არ შეიცავს ეგზისტენციალურ საფრთხეს და ქვეყანაში სხვა ძალზე მნიშვნელოვანი საკითხებიცაა მოსაგვარებელი როგორც პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების და სხვა, ასევე თვით ჯანდაცვის სფეროშიც.

სიტუაციის ნორმალიზება საქართველოში სასწავლო და სატრანსპორტო პროცესების ნორმალიზაციით უნდა დაიწყოს. სამეწარმეო სფეროს უნდა მიეცეს მუშაობის აღდგენის შესაძლებლობა. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი თუნდაც ჯანდაცვის სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების შექმნა. უნდა აღდგეს ვაჭრობისა და ტრანსპორტის დარგების ჩვეული ფუნქციონირება. მათზე საქართველოში დაახლოებით 200 ათასი დასაქმებული მოდის და მის ნორმალურ ამუშავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასევე აუცილებელია განათლების სისტემის დაუყოვნებლივ ამოქმედება.

საჭიროა უფრო რეალისტური მაკროეკონომიკური პროგნოზების შემუშავება და იმის გააზრება, რომ მომავალ წელს ეკონომიკის აღდგენა ვერ მოხერხდება. აქედან გამომდინარე, საკომპენსაციო სქემებისა და ვალების მეშვეობით ეკონომიკის სტიმულირება სრულიად უპერსპექტივო ამოცანაა. გარდა ამისა, თუ დიდი ქვეყნები უკვე ახორციელებენ ამას და

გაცილებით დიდ მასშტაბებში, მათ ეკონომიკაზე დამოკიდებული მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე საქართველოსთვის ეს მიზანშეუწონელია მაკროეკონომიკური თვალსაზრისით.

დაბოლოს, ბიზნესთან დიალოგის გზით უნდა განისაზღვროს შეღავათების (ძირითადად, გადასახადების გადავადების) ის წრე, რომლის ფარგლებში სახელმწიფოს შეუძლია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ იმ ზარალის თვალსაზრისით, რაც უშუალოდ სახელმწიფოს მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა მოიტანა. საერთაშორისო კონიუნქტურის გაუარესებით გამოწვეული დანაკარგების კომპენსირებას სახელმწიფო უბრალოდ ვერ შეძლებს. ამიტომაც, სრულიად აუცილებელია ეკონომიკის სასწრაფო ამოქმედება კატასტროფული დანაკარგების თავიდან ასაცილებლად.

გამოყენებული ინფორმაცია და წყაროები

1. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, 2020;
2. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
3. World Economic Outlook Update, A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery, IMF, June 2020;
4. Mask use in the context of COVID-19, Interim guidance, 1 December 2020, WHO;
5. World Investment report 2020, United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD);
6. პარლამენტის წევრის საბიუჯეტო გზამკვლევი, PMCG, USAID, თბილისი 2016;
7. COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020;
8. Caught by a Cresting Debt Wave (M. Ayhan Kose, Franziska Ohnsorge, Peter Nagle, and Naotaka Sugawara, Finance & Development, June 2020, Vol. 57, # 2;
9. The coming credit crunch, Carmen Reinhart, The World 2021, the Economist;
10. stopcov.ge
11. <https://www.hellenicshippingnews.com/this-chart-shows-how-debt-to-gdp-is-rising-around-the-world/>
12. საქსტატი, Geostat.ge
13. საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>
14. <https://www.bruegel.org/publications/datasets/covid-national-dataset>
15. <https://wallethub.com/>
16. <https://www.weforum.org/agenda/2020/11/covid-19-has-countries-borrowing-money-just-about-as-quickly-as-they-can-print-it/>
17. <https://www.iif.com/Research/Capital-Flows-and-Debt/Global-Debt-Monitor>
18. <https://www.visualcapitalist.com/debt-to-gdp-continues-to-rise-around-world/>

